

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

პერიოდული

ცეკვის დღე

ლარეპარადი

თბილისი  
2016

სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევში მოთხოვილია საერთო-ქართული ეროვნული სახელმწიფოს – საქართველოს შექმნის ისტორია, სახელმწიფოსი, რომელიც თითქმის მთელ კავკასიას „ნიკოფილიდან დარუბანდამდე“ მოიცავდა.

რედაქტორი

**ზურაბ პაპასქირი,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

### დიზაინი ნინო ებრალიძე

### რუკები მანანა შეყილაძე

სამხრეთ კავკასია X ს. || ნახევარში  
საქართველო XII საუკუნის | მეოთხედში  
კოკა თოფურია  
საქართველო XIII საუკუნის | მეოთხედში



წიგნი გამოიცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფინანსური მხარდაჭერით.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში დასრულდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და მისი საზღვრები დასავლეთიდან აღმოსავლეთით „ნიკოფილიდან დარუბანდამდე“, ჩრდილოეთიდან სამხრეთით „ოვსეთითვან არეგანამდე“ და სამხრეთ-დასავლეთით „სპერამდე“ გადაიჭიმა. ქართული მიწების გაერთიანებასა და საქართველოს სამეფოს ამ საზღვრებში ჩამოყალიბებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

ქართული საისტორიო ტრადიციით, საერთო-ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ჩვენმა წინაპრებმა რამდენჯერმე სცადეს, თავდაპირველად, ფარნავაზის ხანაში, ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე, ხოლო შემდეგ ვახტანგ გორგასლის ხანაში, V საუკუნის მეორე ნახევარში. ფარნავაზ მეფისა და ვახტანგ გორგასლის დროს საქართველოს უდიდესი ნაწილი ერთ სამეფოდ იყო გაერთიანებული. ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის მორიგი მცდელობა VIII საუკუნეში იყო.

ქართლის სამეფო VI საუკუნის შუა ხანებში გააუქმეს სპარსელებმა. ამ დროიდან ქვეყანას სპარსი მოხელე მარზპანი განაგებდა. იმდროინდელი ქართლის რეალობა ასახულია ქართულ ჰეგიოგრაფიულ თხზულებაში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ (VI ს.). VI საუკუნის 70-იან წლებში ქართლი სპარსეთის ბატონობისაგან გათავისუფლდა და ეროვნული ხელისუფლება აღდგა, თუმცა ახალ ხელისუფალს არა მეფის, არამედ ერისთავთა მთავრის, ერისმთავრის ტიტული ჰქონდა. VII საუკუნის ბოლოს ეგრისში სამეფო ხელისუფლება ბიზანტიელებმა გააუქმეს და ის მთავრის (ბერძნულად პატრიკიოსი) ხელისუფლებით შეცვალეს. უფრო ადრე სპარსელებმა სომხეთსა (428 წ.) და ალბანეთში (510 წ.) გააუქმეს სამეფო ხელისუფლება. ასე შეხვდა სამხრეთ კავკასია ახალ დამპყრობლებს არაბებს.

## Պապանոս Հայութացի Պատրիարք Ջաջոն Ջաջոնի օջախ

VIII Սայսանուն 30-իան Եղեծքի, ծիծանգունու մեարդաքյ-  
րուտ դա յարտլու յրուսմտազրու սկրյունու 3III-իս (709-738  
ԵԵ.) մշւդելոնքուտ, Տայարտազրու յուգա յրուել յայրուան-  
դա. Տկրյունու 3III-իս „յարտազրու դա մեցրելու յրուստա-  
զրու-յրուստազրու յուգունու“ քրիտյուլու կյոնդա. Այս օեսենունու  
ու արյենու Տոռնու (VII և.) նարներամու. Ամ քրիտյուլաքյուրա-  
շու „յարտազրու“ յարտլու յրուսմտազրու, „մեցրելու“ յու  
յրուստու յամտազրու մուսակլու նոմնազրու. Շեմտեզրուուտ ար  
արու, Ռոմ ամ Տանու, VIII Սայսանուն 1 նաեւրու մովլենյունու  
տերոնքուսաս յարտազրու մեմաքրուն քորվելագ ոյյենյու քյու-  
րմունս „Տայարտազրու“, Ռոմելու յարտլու դա յրուստու մժ.  
Կյուլասյուրամց մուցազրու. մժ. Կյուլասյուրու դասազլուուտ ոյյու  
ծիծանգունու յասալյուրու կյուպան այքանչետո, Ռոմելսաց  
յրուստազրու լույսու 1 լույս Տատազրու.

Տկրյունու 3III-իս յարդաբազալյունու Շեմդյա կյուպան մուսու  
Շեմու արհիու 738-762 ԵԵ.) յանայեթդա, Ռոմելու յարտ-  
լու յրուստերամու „մեցու քրիտյուլուտ օեսենունու. ման տազրու մու-  
մուսինյու յրուստազրու յութու այքանչետո յրուստազրու լույսու 1-ի Շեր-  
տու, Ռոմելմաց տազրու արհիու մեցու յասալագ յամուացեագա  
դա տազրու յամկուուրու կյուպան այքանչետո մաս յագասցա.  
Ամրոցագ, այքանչետո ալմուսազլուտ դա դասազլուտ Տայար-  
տազրուստան յրուագ յրու յաեւլմնույունու յայրուանդա.

VIII Սայսանուն Շյա Տանյեթու արհիու Տկրյունունու յեմ  
յրուստու յուգուրու յայու յուանց դասազրու մտազրու, տայտուն յու  
յումբրու յայտան յայունշերտան յրուագ յարտլու յագազրու.  
մեմաքրունու յրուստու, տօնունու դա մտյելու յարտլու արածե-  
նուսացան օյյու յուան յաներեյլու, Ռոմ արհիու Տկրյունունու յե  
այ դուքեան յեր յահիյրու դա յաեւտու, մուս յայուլունյու յա-  
մայլու յագազրու. արհիու մեցու յաեւտու արածետու դա կյուրետու  
դուքու յամմենյեթլու յամյմայունու յահիալա, մրազալու յուեց  
դա յյուլեսու-մոնասկրյու յացու, յադուլունյու յարտլու յա-

სარწმუნოების განმტკიცებას, ქრისტიანობაზე მოაქცია ის-ტორიულ ალბანეთში მცხოვრები ნუხპატელები.

762 წელს ალმოსავლეთ საქართველოში არაბთა ლაშქარი შემოიჭრა და კახეთს მოადგა. მეფე არჩილმა გადაწყვიტა ქვეყანა აოხრებისაგან ეხსნა და არაბთა სარდალს ასიმს ეახლა. სარდალმა არჩილ მეფე დიდი პატივით მიიღო, მაგრამ მალე ისლამის მიღება მოსთხოვა. არჩილ მეფემ ქრისტიანობის „დატევებაზე“ უარი თქვა და „მსწრაფლ წარმავალ დიდებასა“ და პატივს მოწამებრივი სიკვდილი არჩია. 20 მარტს არჩილ მეფე არაბებმა სიკვდილით დასაჯეს. კახელმა აზნაურებმა წამებული მეფის ცხედარი ლამით მოიპარეს და ერწოში (მდ. ივრის ზემო წელში) მის მიერვე აგებულ წადოეკრის (წოტკორის) ტაძარში დაკრძალეს. საქართველოს ეკლესიამ არჩილ მეფე წმინდანად შერაცხა.

როდესაც წმიდა მოწამე არჩილ მეფის მემკვიდრე, ეგრისის მთავარი იოანე უმეტკვიდროდ გარდაიცვალა, აფხაზეთის ერისთავი ლეონ I, როგორც ქართული სამეფო სახლის ლეგიტიმური წარმომადგენელი, მთელი დასავლეთ საქართველოს, ეგრისისა და აფხაზეთის ხელისუფალი გახდა. ამ დროიდან გაფართოვდა ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობა, რომელიც უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, ხოლო „აფხაზი“ როგორც საკუთრივ აფხაზს, ისე ყველა დასავლელქართველს ეწოდებოდა. იოანე საბანისძის თხზულება „აბო ტფილელის წამება“, რომელიც 780-იან წლებში დაიწერა, პირველი თარიღიანი ძეგლია, სადაც დასავლეთ საქართველოს სახელად „აფხაზეთია“ დაფიქ-



ვახტანგ გორგასალი  
სვეტიცხოვლის ტაძრის ფრესკა

სირებული, მანამდე ის „ეგრისის“ სახელით იხსენიებოდა. ამავე თხზულებაში აფხაზეთის სამთავროს საზღვრების თაობაზე ნათქვამია: „საზღვარ მათდა არს ზღუად იგი პონტოსად, სამკდრებელი ყოვლადვე ქრისტეანთად, მისაზღვრადმდე ქალდიახსა, ტრაპეზუნტია მუნ არს, საყოფელი იგი აფხარეახსად და ნაფხახს ნავთსადგური“.

„პონტოს ზღვა“ შავი ზღვის ძველი სახელწოდებაა, „ქალდია“ – ლაზეთ-ჭანეთია შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ტრაპეზუნტი – ქალდიის ანუ ლაზეთის ქალაქი ტრაპიზონია, აქვე იყო აფხარი, აფხაროსი – ამჟამინდელი გონიო, ხოლო ნაფხაის ნავსადგური ნიკოფისის სახელით ცნობილი ციხე-ქალაქია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. აფხაზეთის შემადგენლობაში „ნაფხაის ნავსადგურს“ (ნიკოფისი) იოანე საბანისძე იხსენიებს, მაგრამ შავი ზღვის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო უძველესი დროიდან ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სივრცეში იყო მოქცეული.

ნიშანდობლივია, რომ კოლხური კულტურის (II-III ათასწლეული) გავრცელების არეალი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს და ყუბანის აუზსაც მოიცავდა. II ათასწლეულის შუა ხანებში ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ქართული სახელმწიფო – კოლხეთის სამეფო ჩამოყალიბდა, რომლის საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით, თავდაპირველად, შავ ზღვაში მდ. ყუბანის ძველ შესართავამდე აღწევდა. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციითაც, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ დაცული, ლიხის მთიდან მდინარემდე „მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასიისა“, ე. ი. შავ ზღვაში მდ. ყუბანის ძველ შესართავამდე, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის – ეგრისის სამკვიდრო იყო. რომაელი დიდმოხელე და ისტორიკოსი ფლავიუს არიანე (95-117 წწ.) ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იხსენიებს ციხე-ქალაქ ძველ ლაზიკას, რაც ამ მხარეში ქართული ტომების განსახლების ირიბი მოწ-

მობაა. ქართული წყაროების „ეგრისი“ რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში ლაზიკის, ხოლო მისი მოსახლეობა ლაზების სახელით იყო ცნობილი. V საუკუნის ანონიმი ბერძენი ავტორი ამ პუნქტს უკვე ნიკოფისის სახელით მოიხსენიებს.

VIII საუკუნის მიწურულს ლეონ I-ის ძმისწული ლეონ II ბიზანტიისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდა და თავი მეფედ გამოაცხადა. ასე ჩამოყალიბდა „აფხაზთა“ სამეფო – ქართული ეთნო-პოლიტიკური და კულტურული წარმონაქმნი. ქართული წყაროები ამ პოლიტიკურ ერთეულს „აფხაზეთს“, მის მეფეს „აფხაზთა მეფეს“ უწოდებენ. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი სომხური წყარო (ჰოვანეს დრასხანაკერტცი, X ს.) ამ სახელმწიფოს „ეგრისს“ უწოდებს, მის მეფეს – „ეგრისის მეფეს“, ხოლო მოსახლეობას – „ეგრისელებს“. ქართული ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციით, მმართველი დინასტიის წარმომავლობის მიხედვით, ამ სამეფოს „აფხაზთა“ სამეფო ენოდება. ტერმინში – „აფხაზთა“ სამეფო – წინწკლებში იხმარება აფხაზთა, რადგან ამ შემთხვევაში ის აღნიშნავს არა ეთნიკურ აფხაზებს, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას.

„აფხაზთა“ სამეფოს დასავლეთით შავი ზღვა ეკრა, აღმოსავლეთით ლიხის ქედი საზღვრავდა, ჩრდილოეთით – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი; ჩრდილო-დასავლეთით საზღვარი მდ. ნიკოფისიაზე (ამჟამად მდ. ნეგოფსუხო) გადიოდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვარმა, ბიზანტიის იმპერიის მცდელობით, ჭოროხის ხეობაზე გადმოინაცვლა. აფხაზთა სამთავროს პოლიტიკური ცენტრი ციხე-ქალაქი ანაკოფია, მემატიანის თქმით, „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“ იყო.

„აფხაზთა“ სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ლეონ II-მ დედაქალაქი ანაკოფიდან ქუთათისში გადმოიტანა. ამ დროს განსაკუთრებით გაამაგრეს ქუთათისი. ქალაქის ციტადელს მტკიცე გალავანი შემოავლეს, ააგეს სამეფო

სასახლე, განაახლეს მთავარი ეკლესია – სამნავიანი ბაზილიკა. გალავნის გარეთ იმატა წინაქალაქის მოსახლეობამ.

\*\*\*

VIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ტფილისში არაბი ამირა დაჯდა და არაბთა უშუალო გამგებლობა დამყარდა. „ამირა“ არაბულად „მხედართმთავარს“, „მთავარს“ ნიშნავს. ამირა თავდაპირველად მთელ ქართლის საერისმთავროს განაგებდა და „ქართლის ამირად“ იწოდებოდა, მოგვიანებით მას მხოლოდ ტფილისი, მისი შემოგარენი და ქვემო ქართლის ნაწილი ექვემდებარებოდა, ამიტომ ის „ტფილელ ამირად“ ან „ტფილისის ამირად“ მოიხსენიებოდა.

საამიროს დაარსების შემდეგ ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება შეიზღუდა. არაბთა მძლავრობის გამო ქართლის ერისმთავარი აშოგ I ბაგრატიონი (787-826 წწ.) IX საუკუნის დასაწყისში იძულებული გახდა ოჯახთან და ამალასთან ერთად თავის სამკვიდრო მამულში შავშეთ-კლარჯეთში გადასულიყო.

შავშეთი და კლარჯეთი ძველი ქართული ისტორიული მხარეებია მდ. ჭოროხის ქვემო წელში.

შავშეთი მოიცავდა მდ. ჭოროხის მარჯვენა შენაკადის შავშეთისწყლისა (შემდეგში ბერთასწყალი) და მისი შენაკადის იმერხევის ხეობას. მას ჩრდილოეთით აჭარა ესაზღვრებოდა, რომლისაგანაც შავშეთის ქედი მიჯნავდა, დასავლეთით მდ. ჭოროხი საზღვრავდა, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – არსიანის ქედი გამოყოფდა ერუშეთისა და არტაანისაგან, სამხრეთ-დასავლეთით – იმერხევ-შავშეთისწყლის ხერთვისი, სამხრეთით – კლარჯეთი ესაზღვრებოდა შავშეთისწყლის მარცხენა ნაპირზე.

კლარჯეთი კლდოვანი ხევებით დასერილი მთიანი მხარეა მდ. ჭოროხის ქვემო წელისა და მისი შენაკადების აუზში. იგი მოიცავდა ტერიტორიას არსიანის ქედიდან შავზღვამდე, მდინარეების იმერხევისა და არტაანუჯისწყლის

ხეობების ჩათვლით. აღმოსავლეთით მას კოლა და არტაანი საზღვრავდა მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში, დასავლეთით – ნიგალი, მდ. ჭოროხის ქვემო წელში, სამხრეთით – ტაო, მდ. ჭოროხის შუა დინების აუზში.

შავშეთ-კლარჯეთი ბიზანტიის იმპერიას ესაზღვრებოდა. ბიზანტიის ხელისუფლებმა მფარველობაში მიიღეს არაბების წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის ერისმთავარი, ხელი შეუწყვეს მის გაძლიერებას და მფარველობის ნიშნად საპატიო საკარისკაცო ტიტული „კურაპალატი“ უბოძეს. იმუამად შავშეთ-კლარჯეთი არაბებისაგან საშინლად იყო აოხრებული. აშოთ კურაპალატის აქ დამკვიდრების შემდეგ მხარის აღორძინება დაიწყო და ქვეყანა ნელ-ნელა მოშენდა. აშოთ კურაპალატმა რეზიდენციად ციხე-ქალაქი არტანუჯი გაიხადა.



ნიკოფისის ციხე

არტანუჯი კლარჯეთში, მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. არტანუჯის ციხე ვახტანგ გორგასალმა ააგო V საუკუნის მეორე ნახევარში, მანვე დასვა აქ პირველი ერისთავი. VIII საუკუნის I ნახევარში არტანუჯის ციხე არაბმა სარდალმა მარვან იბნ მუჰამედმა (მურვან ყრუ) დაანგრია. IX საუკუნის დასაწყისში აშოთ კურაპალატმა ის განაახლა, თითქმის ხელახლა ააშენა, მანვე დააარსა აქ ქალაქი, რომელიც მაღლე სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სავაჭრო ცენტრი გახდა.

აშოთ კურაპალატის სამფლობელო ქართლის საერის-

მთავროს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებს მოიცავდა – სამცხეს, ჯავახეთს, კოლას, არტანს – მტკვრის ხეობაში; შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს – ჭოროხის ხეობაში. აშოთ კურაპალატის სამფლობელოს ქართველთა საკურაპალატოს ან ტაო-კლარჯეთის სამთავროს ეძახდნენ. აშოთ ბაგრატიონს და მის თანამედროვეებს ეს ახლადშექმნილი პოლიტიკური ერთეული ძველი ქართლის სამეფოსა და ქართლის საერის-მთავროს პოლიტიკურ მემკვიდრედ მიაჩნდათ, ამიტომ აშოთ კურაპალატს „ქართველთა ზედა მთავარს“ უწოდებდნენ.

აშოთ I დიდი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარია.

ქართული საისტორიო ტრადიციით, ბაგრატიონების საგვარეულო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან — სპერიდან მომდინარეობს. შემდეგ ისინი ქართლში დამკვიდრდნენ. ზოგიერთი საისტორიო წყარო ბაგრატიონებს ქართლის მეფეთა პირველ დინასტიასთან — ფარნავაზიანებთან — ანათესავებს. შემდეგ ბაგრატიონები ქართლის ერისმთავრები გახდნენ. 571 წელს სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებას სათავეში ედგა ვახტანგ გორგასლის შვილიშვილი, ასულის წული, გუარამი — გორგასლიან-ფარნავაზიანთა კლარჯული შტოს წარმომადგენელი, მამით — ოძრხის ერისთავთა ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი. ბაგრატიონთა ერთი განშტოება გასომხდა და ბაგრატუნებად იწოდებოდნენ. ორივე შტო თითქმის ერთდროულად დაწინაურდა ქართლსა და სომხეთში. ბაგრატუნები IX საუკუნის მიწურულიდან XI საუკუნის შუა სანებამდე მეფობდნენ სომხეთში.

ქართველი მემატიანის სუმბატ დავითის ძის (XI ს.) მიხედვით, ბაგრატიონები ბიბლიური მეფეების, იესე-დავით-სოლომონის შთამომავლებად თვლიდნენ თავს და ამიტომაც „იესიან-დავითიან სოლომონიანებად“ იწოდებოდნენ. ქართულ მწერლობაში პირველი ცნობა ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველისაგან მომდინარეობის შესახებ დაცულია გიორგი მერჩულეს თხზულებაში „გრი-

გოლ ხანძთელის ცხოვრება“ გრიგოლ ხანძთელი აშოთ I კურაპალატს ასე მიმართავს: „დავით წინასწარმეტყველი-სა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჭელ-მწიფეო, მეფობად და სათნოებანიცა მისნი დაგიმკდრენ ქრისტემან ღმერთმან“. ამასვე ადასტურებს აშოთ I ბა-გრატიონის ბარელიეფური გამოსახულება, რომელიც ოპი-ზის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ ფასადზე იყო მოთავსებული. ამ ბარელიეფზე ოპიზის ეკლესიის მოდე-ლით ხელში გამოსახულია აშოთ I ბაგრატიონი, რომელსაც აკურთხებს იესო ქრისტე, ხოლო მის გვერდით ვედრების პოზაში დგას მეფე-მეფესალმუნე დავით წინასწარმეტყვე-ლი, ბაგრატიონების ბიბლიური წინაპარი.

ქართული წყაროების (გიორგი მერჩულე, ჯუანშერ ჯუანშერიანი, დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი, სუმბატ დავითის ძე, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) გარდა ბაგრა-ტიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან მომდინარეობის შესახებ ცნობა დაცულია უცხოურ წყაროებშიც: ბიზან-ტიურში (კონსტანტინე პორფიროგენეტი, X ს.), სომხურში (1335 წლის ხელნაწერის მინანერი) და სხვ.

\*\*\*

თბილისის საამიროს ჩამოყალიბებისა და ქართლის ერის-მთავრის ხელისუფლების დაკრინების შედეგად ჩამოყალიბდა ასევე ჰერეთის სამთავრო და კახეთის საქორეპისკოპოსო.

ჰერეთის სამთავრო VIII საუკუნის 80-იან წლებში შეი-ქმნა. ის მოიცავდა მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირს კავკა-სიონის ქედამდე, ასევე მის მარჯვენა ნაპირს მდ. მტკვრის ჩრდილოეთით – ივრისა და ალაზნის ქვემო წელის აუზს (კამბეჩოვანი, გვიანდელი ქიზიყი), აგრეთვე ქალაქ შაქს (ამჟამად აზერბაიჯანში) და მის ქვეყანას, ჩრდილო-ალ-მოსავლეთით წუქეთს – მდ. სამურისა და მდ. ქურმუხის ხეობაში). ჰერეთის მთავარს ემორჩილებოდა აგრეთვე მო-საზღვრე მთიანეთი კავკასიონის ქედს გაღმა – ხუნძეთი

(ლუნძეთი) მდ. სულაკის აუზში, და დიდოეთი მდ. ანდის ყოისუს ზემო დინებაზე. ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი დღევანდელ მდ. ალჯიგან-ჩაიზე გადიოდა. ამ მდინარის სათავეში მდებარე კავკასიონის ქედიდან ჩამომავალ შტო-ქედს დღესაც გურჯი-დაღი ანუ ქართველთა ქედი ჰქვია. ჰერეთის სამთავროს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი შაქი იყო. ჰერეთის მთავრები ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები იყვნენ. 893 წელს ჰერეთის მთავარმა გრიგოლ-ჰამამა მეფის ტიტული მიიღო. ასე ჩამოყალიბდა ჰერეთის სამეფო. ქართველები არაბობის ხანიდან ჰერეთს რანსაც ეძახდნენ, რადგან მისი ძირითადი ნაწილი – კამბეჩოვანი ერთხანს აღბანეთის სამთავროსთან იყო მიერთებული.

კახეთის სამთავრო VIII საუკუნის 80-იან წლებში (787 წ.) გამოეყო ქართლის საერისმთავროს. პირველი მთავარი გრიგოლი (787-827 წწ.) იყო. კახეთის მთავრები ქორეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ, რაც დაბა-ქვეყნის, პროვინციის ეპისკოპოსს ნიშნავს. ქორეპისკოპოსი თავის ხელში აერთიანებდა უმაღლეს საერო და სასულიერო მმართველობას.

კახეთის სამთავრო IX საუკუნისათვის მსხვილი პოლიტიკური ერთეული იყო. მისი დასავლეთი საზღვარი აშოტ I კურაპალატთან ბრძოლის შედეგად მდ. ქსანზე გავიდა, აღმოსავლეთით საზღვარი ყვარელ-გურჯაანის ხაზზე, ალაზნის ველზე და ივრის ზეგანზე გადიოდა; ჩრდილოეთით მისი ტერიტორია კავკასიონის ქედს გაღმაც ვრცელდებოდა. კახეთის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა ხევი მდ. თერგის ზემო წელში, ფხოვი (ფშავ-ხევსურეთი), თუშეთი, დურძუკეთი და ღლილვეთი. VIII-IX სს. სამთავროს პოლიტიკური ცენტრი უჯარმა იყო, X საუკუნეში – ბოჭორმა, შემდეგ კი – თიანეთი.

826 წელს არაბთა წინააღმდეგ ერთ-ერთი ლაშქრობის მზადებისას არაბთა მიერ მოსყიდულ შეთქმულთა ხელით აშოტ კურაპალატი დაიღუპა. ქართველი მემატია-

ნის ცნობით, ეკლესიას შეფარებული აშოტ I დიდი მოკლეს „მახვლითა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურ-თხეველი იგი სისხლითა მისითა“. საქართველოს ეკლესიამ აშოტ I კურაპალატი წმინდანად შერაცხა.

აშოტ I დიდის დაღუპვის შემდეგ, ბიზანტიის კეისარმა კუ-რაპალატის ტიტული მის შეუათანა ვაჟს ბაგრატ I-ს (დაახლ. 830-იანი – 876 წწ.) უბოძა. ბაგრატის უმცროსმა ძმამ გუარამ მამფალმა (მამა უფალი) თბილისის ამირას ქვემო ქართლის (მტკვრის დინების ქვემო, მარჯვენა მხარე) ერთი ნაწილი გა-მოსტაცა. ამ ბრძოლაში გუარამს მისი ცოლის ძმა, ერთ-ერთი სომხური სამთავროს, შირაკის მთავარი აშოტ I ბაგრატუნი (859-890 წწ.) ეხმარებოდა. ამ დახმარების სანაცვლოდ გუარამ მამფალმა მას თბილისის ამირასთვის წართმეული მიწების ერთი ნაწილი გადასცა ქვემო ქართლში. სომეხთა მთავარმა თავისი სამფლობელო ქვემო ქართლში თანდათან გააფარ-თოვა. ქართული და სომხური მიწების ფლობის გამო აშოტ I ბაგრატუნი თავს „სომეხთა და ქართველთა მთავარს“ უწო-დებდა. 885 წელს მან „სომეხთა და ქართველთა მეფის“ ტი-ტული მიიღო. მისი სამფლობელო ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილს, ალგეთის ხეობასა და მტკვრისა და არაქსის წყალ-გამყოფ ბამბაკ-ერევნის ქედს შორის ტერიტორიას მოიცავდა. IX საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლის კახეთან მოსაზღვრე მხარის, გარდაბნის (მდინარეების: ქციის, ხრამის და ალგეთის უკიდურესი ქვემო წელი, პოლიტიკური ცენტრით ციხე-ქალაქ ხუნანში), მოსახლეობამ კახეთის ქორეპისკოპოსს სომეხთა წი-ნააღმდეგ საშველად უხმო. მანაც თავისი ლაშქრით მტკვარი გადალახა და ეს მხარე კახეთს შეუერთა.

ამრიგად, VIII საუკუნის მიწურულს ქართლის საერის-მთავრო რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეუ-ლად დაიშალა: ჰერეთის სამეფო, კახეთის საქორეპის-კოპოსო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო. ეგრისის სამეფოს ადგილზე დასავლურ-ქართული სახელმწიფო „აფხაზთა“ სამეფო ჩამოყალიბდა.



ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების შემდეგ, ქართული მინა-წყლის გაერთიანებისათვის ბრძოლა გაჩაღდა, რომელიც ძირითადად „ქართლსა ზედა“, ანუ შიდა ქართლის დაუფლებისათვის წარმოებდა. შიდა ქართლი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია იყო. იგი მოიცავდა ვრცელ მინა-წყალს მტკვრის მარცხენა ნაპირიდან კავკასიონის ქედამდე, აღმოსავლეთით მდ. არაგვისა და თბილისამდე, სამხრეთით ფარავნის ტბამდე, მტკვრის მარჯვენა ნაპირს ტაშისკარიდან მცხეთამდე. IX საუკუნის დასასრულისათვის ამ ბრძოლაში სომეხი მეფებიც ჩაებნენ.

\*\*\*

IX-X საუკუნეებში საქართველოს მსგავსად მისი მეზობელი სომხეთი და ალბანეთიც სამეფო-სამთავროებით დაიფარა. თავდაპირველად ჩამოყალიბდა შირაკის სამთავრო, რომელსაც აშოტ I ბაგრატუნის მიერ 885 წელს მეფის ტიტულის მიღების შემდეგ შირაკის სამეფო ეწოდა. მისი დედაქალაქი ანისი იყო, ამიტომ ამ სამეფოს ანისის სამეფოს სახელითაც მოიხსენიებენ.

სომეხთა მეფებმა, X საუკუნის დამდეგს ქვემო ქართლის განაპირა მხარე ტაშირი (მდ. დებედის მარცხენა შენაკადის ტაშირისწყლის ხეობა) და მდ. ალგეთსა და დებედას შორის მინა-წყალი დაიკავეს. X საუკუნის შუა ხანებში მათ კახეთის სამთავროს გარდაბნის მხარე წაართვეს. ამ

ტერიტორიაზე X საუკუნის 70-იან წლებში ტაშირ-ძორაგე-ტის სამეფო შეიქმნა, რომელიც შირაკის სამეფოს გამოყოფილი იყო.

ტაშირ-ძორაგეტის სამეფო მთლიანად ქართულ მინა-წყალზე ჩამოყალიბდა მდ. ალგეთის ხეობასა და ბამბაკ-ერევნის ქედს შორის ტერიტორიაზე და სამშვილდის, ბოლნისის, დმანისის, ლორეს სანახებს, მდ. დებედასა და მისი შენაკადის ტაშირისწყლის ხეობებს მოიცავდა. სომხები ტაშირისწყალს ძორაგეტს ეძახდნენ, რაც სომხურად ხევის, ხეობის მდინარეს (ძორ – ხეობა, ხევი, გეტ – მდინარე) ნიშნავს, სომხები მდ. დებედასაც ძორაგეტს უწოდებდნენ. სამეფოს დასავლეთით ჯავახეთის ქედი საზღვრავდა, აღმოსავლეთით – მდ. მტკვარი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. ბერდუჯი. სამეფოს პოლიტიკური ცენტრი ძველი ქართული ციხე-ქალაქი სამშვილდე იყო, მოგვიანებით კი – ლორე. სამეფოს მოსახლეობა შერეული, ქართულ-სომხური იყო. ქართული წყაროები ამ მხარეს „სომხითს“ ეძახდნენ, რაც მას საქართველოს საზღვრებში გაერთიანების შემდეგაც შერჩა, ხოლო სომხურ წყაროებში ვრაც-დაშტის („ქართველთა ველი“) სახელით მოიხსენიება.

X საუკუნის მეორე ნახევარში ანისის სამეფოს დასავლეთით ვანანდის ვასალური (დაქვემდებარებული) სამეფო გამოყოფილი, რომლის მთავარი ციხე-ქალაქი კარი (ამჟ. ქ. ყარსი თურქეთში) იყო, ჩრდილოეთით კი – ტაშირ-ძორაგეტის სამეფო. ამის შემდეგ შირაკის მეფეები მეფეთ-მეფის ტიტულს ატარებდნენ. შირაკის სამეფოს სამხრეთით, ვანის ტბის გარშემო შეიქმნა ვასპურაკანის სომხური სამეფო, რომელ-საც არწრუნთა საგვარეულო ედგა სათავეში. მისი მთავარი ციხე-ქალაქი ვანი იყო. ამ სამეფოების გარდა სომხეთის ტერიტორიაზე სხვა წვრილი სამთავროებიც არსებობდა.

ძველი ალბანეთის სამეფოს ტერიტორიაზე სახალიფოს დაშლის შემდეგ მუსლიმური სამფლობელოები წარმოიქმნა. უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით დარუბანდის საამირო ჩამოყალიბდა, რომლის პოლიტიკური ცენტრი

ციხე-ქალაქი დარუბანდი იყო; სამხრეთიდან მას შარვანი ესაზღვრებოდა, რომლის მმართველები შარვანშაპის (შარვანის მეფე) ტიტულს ატარებდნენ. სამეფოს მთავარი ქალაქი შამახა (შამახია) იყო. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, მუღანის ველის უდიდესი ნაწილი რანს ანუ განძის საამიროს ეკავა, რომლის პოლიტიკური ცენტრი ციხე-ქალაქი განძა (ამჟამად ქ. განჯა აზერბაიჯანში) იყო. შარვანის სამეფოს სამხრეთით ადარბადაგანის საამირო ჩამოყალიბდა, რომლის პოლიტიკური ცენტრი თავრიზი გახდა.

ამ სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო ბრძოლა როგორც ქართული, სომხური, ალბანური მიწების, ისე მთელი სამხრეთ კავკასიის გაერთიანებისათვის. X საუკუნიდან სამხრეთ კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში ქართული სამეფო-სამთავროების როლი გამოიკვეთა. დაახლოებით საუკუნენახევრის განმავლობაში ქართველი მეფე-მთავრები თავგამოდებით იბრძოდნენ პოლიტიკური ჰეგემონობის მოსაპოვებლად ქართულ პოლიტიკურ სამყაროში, რაც ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას ნიშნავდა.

888 წელს აშოთ I ბაგრატიონის შვილიშვილის დავით I კურაპალატის ვაჟმა ადარნასე II ბაგრატიონმა (888-923 წწ.) „ქართველთა“ მეფის ტიტული მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოს „ქართველთა“ სამეფო ჰქვია, ის ქართლის საერისმთავროს და ძველი ქართლის სამეფოს მხოლოდ ერთ ნაწილს – ქოროხის ხეობასა და მტკვრის ზემო წელს მოიცავდა. „ქართველთა“ სამეფო სახელმწიფო წყობით სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულებისაგან განსხვავდებოდა. მისი ცალკეული მხარეები დანაწილებული იყო აშოთ I ბაგრატიონის შთამომავლებს შორის, რომლებიც თავიანთ სამფლობელოებს ერისთავების, ერისთავთ-ერისთავების, მამფალთა, მაგისტროსთა, კურაპალატთა, მეფეთა ტიტულებით განაგებდნენ. მათ შორის პირველობა ბაგრატიონთა იმ წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ, რომლებსაც „ქართველთა“ მეფისა და „ქართველთა კურა-

პალატის“ წოდება ჰქონდათ. ამ ტიტულების ერთი ნაწილი – მაგისტროსი, კურაპალატი, – ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებია და მათი ტარება ქართველ ბაგრატიონთა მიერ ბიზანტიის კეისრის უზენაესობის აღიარებას ნიშნავდა.



ანისის ციხე

აშოტ I კურაპალატის შთამომავლებისაგან ბაგრატიონთა ტაოსა და კლარჯეთის შტოები წარმოიქმნა. როგორც „ქართველთა“ მეფის, ისე „ქართველთა კურაპალატის“ წოდება გარკვეული პერიოდიდან ადარნასე ॥ „ქართველთა“ მეფის მემკვიდრეებში, ტაოელ ბაგრატიონებში დამკვიდრდა, ხოლო ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენლები არტანუჯელ ხელმწიფეებად იწოდებოდნენ. X საუკუნის I ნახევარში ტაოს სამეფო იმიერ ტაოს და ამიერ ტაოს სამეფოებად გაიყო. ამ დროიდან „ქართველთა“ მეფის ტიტული ამიერ ტაოს მეფეებს დაუმკვიდრდათ.

IX საუკუნის დამდეგიდან ქართული მიწების გაერთიანებისათვის ბრძოლაში „აფხაზთა“ სამეფო დაწინაურდა. IX საუკუნის II ნახევრიდან შიდა ქართლს ძირითადად „აფხაზთა“ მეფეები ფლობდნენ. ჩვეულებრივ, შიდა ქართლის საერისთავოს „აფხაზთა“ სამეფოს ტახტის მემკვიდრე განაგებდა. „აფხაზთა“ მეფე კონსტანტინე III-მ (893-922 წწ.), რომელიც ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას განაგრ-

ძობდა, კახეთის ქორეპისკოპოს კვრიკე I-თან ერთად ჰერეთზე ილაშქრა და მისი დიდი ნაწილი დაიმორჩილა. გამარჯვების აღსანიშნავად მეფემ „ილოცა აღავერდს წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა“. მაგრამ ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ „აფხაზთა“ სამეფოში შინააშლილობა დაიწყო და მისი დაქვემდებარებიდან ჰერეთი გამოვიდა.

„აფხაზთა“ სამეფო განსაკუთრებით გიორგი II-ის (922-957 წწ.) დროს გაძლიერდა, რომელიც ქართველ მეფე-მთავართა შორის უპირველესად ითვლებოდა. მთელი თავისი მეფობა მან ქართული მინა-წყლის გაერთიანებისათვის ბრძოლას შეალია. იგი კახეთისა და ჰერეთის შემოერთებასაც შეეცადა და დიდ წარმატებასაც მიაღწია.

გიორგი II-ის მოღვაწეობით აღფრთოვანებული ქართველი მემატიანე მას ასე ახასიათებს: „იყო იგი სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმწნითა და ახოვნებითა; ღმრთის-მოყუარე იყო, უმეტეს ყოველთა მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხვ და მდაბალი, და ყოვლითა კეთილითა და სათხოებითა სრული“. გიორგი II-ის პოლიტიკა მისმა ვაჟმა ლეონ III-მ (957-967 წწ.) ენერგიულად გააგრძელა. მეფობის პირველ წლებში მან ჯავახეთი შეუერთა „აფხაზთა“ სამეფოს, აქტიურად იბრძოდა კახეთის კვლავ შემოერთებისათვის, რაც მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ჩაშალა.

ლეონ III-ის გარდაცვალების შემდეგ „აფხაზთა“ სამეფო-ში ძმებს შორის ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღდა. 975 წელს „აფხაზთა“ სამეფო ტახტზე უსინათლო თეოდოსი (975-978 წწ.) ავიდა, რომელსაც მეტსახელად „მწუხარს“ ეძახდნენ. ასეთ ვითარებაში „აფხაზთა“ სამეფო შედარებით დასუსტდა. ამის გამო საქართველოს ერთიანობისათვის მოფიქრალ მამულიშვილთა დასმა იმედის თვალი ტაოელ ბაგრატიონებს მიაპყრო. გადამწყვეტი ეტაპი ქართული ქვეყნების გაერთიანებისათვის ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში სწო-

რედ X საუკუნის ბოლო მესამედში დადგა.

ამ დროს ტაოელ ბაგრატიონთა შტოს გამორჩეული ნარ-მომადგენელი დავით III კურაპალატი – იმიერ ტაოს ხელმწიფე იყო. იმიერ ტაო ისტორიული ქართული ქვეყნის ტაოს, მდ. ჭორობის შუა დინების აუზში, სამხრეთი ნაწილი იყო. იმიერ და ამიერ ტაოს შორის საზღვარი მდ. ბანასწყალზე გადიოდა.

„ქართლის ცხოვრება“ დავით III კურაპალატს ასე ახა-სიათებს: „იყო ღმრთისმოყვარე და გლახაკთ-მოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვირის არმთქმელი, ეკლესიათა მაშე-ნებელი, ტკბილი, უხვი, კაცთმოყვარე და ბერ-მონაზონთა პატივისმცემელი, ყველასთვის კეთილისმყოფელი და სავ-სე ყველანაირი სიკეთითა“. დავით მეფე გამორჩეული იყო არა მარტო ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა ხელმწი-ფეებს შორის სიძლიერით, გონიერებით და შორსმჭვრეტე-ლობით, არამედ ამ თვისებებით გამორჩეული მთელ წინა აზიაში. დავით კურაპალატი აღმოსავლეთ მცირე აზიაში არაბებისაგან სომხურ მიწებს ათავისუფლებდა, რამაც მას სომხებში დიდი სახელი მოუხვეჭა. XI საუკუნის სომეხი მე-მატიანე ასოლიკი მას ასე ახასიათებდა: „ღმობიერებით და მშვიდობის მოყვარეობით დავითი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეებს აღემატებოდა. მისი წყალობით დამყარდა მშვიდობა და კეთილდღეობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში“. ამრიგად, ქართველი მეფე მეზობელ, მოძმე სომეს ხალხს მფარვე-ლობდა. თავისი სამეფოსათვის არაბებისაგან გათავისუ-ფლებული სომხური მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის შე-მოერთების გამო სომხურ წყაროებში ის „ქართველთა და სომეხთა კურაპალატად“ იწოდება.

დავით III კურაპალატს შვილი არ ჰყავდა და ახლო ნა-თესავი, მამის ბიძაშვილის, „ქართველთა“ მეფის ბაგრატ II-ის შვილიშვილი, ბაგრატ უფლისნული იშვილა. ამ აქტში შორსგამიზნული ზრახვა იმალებოდა. ბაგრატ უფლისნუ-ლის დედა გურანდუხტი უშვილო და უსინათლო თეოდოსი

„აფხაზთა“ მეფის და იყო. შესაბამისად, ბაგრატ უფლისწული „აფხაზთა“ სამეფო ტახტის მემკვიდრე იყო. იმავდროულად, როგორც „ქართველთა“ მეფის შვილიშვილი, ის მისი მემკვიდრეც იყო, ხოლო როგორც დავით კურაპალატის შვილობილი – იმიერ ტაოს მემკვიდრე. ამრიგად, მომავალში, ბაგრატ უფლისწული ისტორიული ქართული მიწების დიდ ნაწილს თავის ხელში გააერთიანებდა.

საქართველოს ერთიანობისთვის მოფიქრალ და მებრძოლ ქართველ პოლიტიკოსებში, რომელთაც „აფხაზთა“ სამეფოს შიდა ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე, „კაცი ძლიერი და ლაშქარმრავალი“ მეთაურობდა, გაჩნდა აზრი ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინათ და ქვეყნის გაერთიანება დაეჩქარებინათ, მით უმეტეს, რომ უსინათლო თეოდოსის ხელში „აფხაზთა“ სამეფოს საქმეები უკან მიდიოდა. იოანე მარუშისძისა და მის თანამოდასეთა მიერ შემუშავებული გეგმით, ბაგრატ უფლისწული ჯერ „აფხაზთა“ სამეფო ტახტის ოფიციალური მემკვიდრე უნდა გამხდარიყო, რისთვისაც თავდაპირველად ქართლის ერისთავობა უნდა მიეღო; შემდეგ ის „აფხაზთა“ სამეფო ტახტზე თავის ბიძას შეცვლიდა, მოგვიანებით კი პაპისა და მამობილის სამფლობელოებსაც დაუუფლებოდა და ამით საქართველო გაერთიანდებოდა. იოანე მარუშისძემ მოციქული გაუგზავნა დავით III კურაპალატს, თავისი გეგმა გააცნო და შვილობილთან ერთად ქართლში მიინვია.

975 წელს დავით კურაპალატი ბაგრატ უფლისწულის თანხლებით შიდა ქართლში ჩავიდა და იოანე მარუშისძისაგან ამ მხარის პოლიტიკური ცენტრი უფლისციხე ჩაიბარა. უფლისციხეში შეკრებილ ქართლის აზნაურებს დავით კურაპალატმა თავისი შვილობილი, „რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“, ასე წარუდგინა: „ესე არს მკვდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“. დავით კურაპალატმა ბა-

გრატ უფლისწული უფლისციხეში დატოვა და ტაოში დაბრუნდა. შიდა ქართლის საერისთავოში ბაგრატის დასმა ტახტის მემკვიდრე უფლისწულ-ერისთავად „აფხაზთა“ სამეფოს ტახტის დაკავებისათვის მის მომზადებას ნიშნავდა.

978 წელს, როდესაც ბაგრატ უფლისწული სრულწლოვანი გახდა, იოანე მარუშისძემ და სხვა დიდებულებმა დავით კურაპალატის თანხმობით ის დასავლეთ საქართველოში ჩაიყვანეს და ქუთათისში „აფხაზთა“ სამეფოს მეფედ აკურთხეს. საქართველოს ისტორიაში ის ბაგრატ III-ის (978-1014 წწ.) სახელით შევიდა.

დავით კურაპალატის წარმატებული გამაერთიანებელი პოლიტიკა ბაგრატ III-ის „აფხაზთა“ სამეფო ტახტზე აყვანით არ დასრულებულა. „აღმოსავლეთის დიდმა კურაპალატმა“, როგორც მას უნიდებდნენ, თავისი ცხოვრების ბოლო სამი ათეული წელი სამხრეთის მიმართულებით საქართველოს საზღვრების გაფართოებას მოახმარა. 976 წელს, როდესაც ბიზანტიის მცირენლოვან იმპერატორს ბასილი II-ს (976-1025 წწ.) მცირე აზიის, სომხეთისა და ლაზეთის ერთი ნაწილის გამგებელი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა, ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დახმარებისთვის დავით კურაპალატს მიმართა. იმიერ ტაოს ხელმწიფემ კეისრის დასახმარებლად 12 ათასიანი ლაშქარი გაგზავნა, რომელსაც იმ დროს ათონის მთაზე იოანეს სახელით შემონაზვნებული, წარსულში სახელგანთქმული ქართველი სარდალი თორნიკე ერისთავი ედგა. ქართველთა ლაშქარმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში. მადლიერმა ბასილი კეისარმა დავით კურაპალატს აურაცხელ საგანძურთან ერთად ბიზანტიის მიწები „ზემო ქვეყნები“ – ბასიანი, კარნუ-ქალაქი (ამჟამად ქ. არზრუმი თურქეთში) და კიდევ უფრო სამხრეთით, მდინარეების არაქსისა და ევფრატის სათავეები უბოძა. ეს მიწები დავით კურაპალატს მემკვიდრეობით მფლობელობაში არ მიუღია, დავითის გარდაცვალების შემდეგ ისევ ბიზან-

ტიას უნდა დაბრუნებოდა. მალე დავით კურაპალატმა ვანის ტბის ნაპირას მდებარე ციხე-ქალაქი ხლათიც აიღო. ასე რომ, მისი სამფლობელო ვანის ტბამდე გადაიჭიმა.

მალე კეისრის წყალობა რისხვამ შეცვალა. 987 წელს ბასილი კეისარს სარდალი ბარდა ფოკა აუჯანყდა, რომელმაც თავი იმპერატორად გამოაცხადა. აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო და მთელი მცირე აზია მოიცვა. ბარდა ფოკას დავით III კურაპალატიც მიემხრო, რომელიც კეისრად მისი გახდომის შემდეგ ადრე ბიზანტიისაგან დროებით მიღებული მინების („ზემო ქვეყანანი“) სამუდამო მფლობელობაში მიღებას მოელოდა. 989 წელს კეისარმა ბარდა ფოკა დაამარცხა და მისი მომხრეები სასტიკად დასაჯა. დავით კურაპალატი იძულებული გახდა კეისრისთვის მთელი მისი სამფლობელო ანდერძით აღეთქვა. ეს, რა თქმა უნდა, დავით კურაპალატის დიდი პოლიტიკური მარცხი იყო.

994 წელს „ქართველთა“ მეფე ბაგრატ II გარდაიცვალა. დავით კურაპალატმა, როგორც საგვარეულოში უფროსმა, „ქართველთა“ მეფის ტიტული მიიღო. 1001 წელს დავით III კურაპალატი მოულოდნელად გარდაიცვალა. ბასილი კეისარმა ლაშქარი მაშინათვე საქართველოსკენ დაძრა, რათა მის მემკვიდრეობას დაუფლებოდა. ბაგრატ III და მისი მამა გურგენ მეფე კეისარს ეახლენ. ქართველი პოლიტიკური ლიდერები დავით კურაპალატის მთელი სამფლობელოს უბრძოლველად დათმობას არ აპირებდნენ. ვითარების გამწვავება არც ბასილი კეისრის ინტერესებში შედიოდა, ამიტომაც მან ბაგრატ III-ს და გურგენ მეფეს დავით კურაპალატის კუთვნილი ტერიტორიების ნაწილი („კოლა-არტანთ ჯავახეთს“), მაინც დაუტოვა. ამასთანავე, კეისარმა ბაგრატს კურაპალატის, ხოლო მის მამას გურგენს უფრო ნაკლები – მაგისტროსის ტიტული უბოძა. ამით კეისარი მამა-შვილს შორის უკმაყოფილების ჩამოგდებას და ქვეყნის აშლას ისახავდა მიზნად, მაგრამ ზნემალალ გურგენს შვილის მიმართ უნდობლობისა და შურის გრძნობა არ გასჩენია.

ამრიგად, ბაგრატ III-მ, რომელიც „აფხაზთა“ მეფის ტი-

ტულს ატარებდა, ახლა კურაპალატისა და „ქართველთა“ მეფის ტიტულიც მიიღო. ამ დროიდან ის „აფხაზთა და ქართველთა მეფედ“ იწოდა, მისი მამა გურგენ მაგისტროსი კი „მეფეთა-მეფე“ გახდა.

1008 წელს ბაგრატ III-ის მამა გურგენ მეფეთ-მეფე გარდაიცვალა და ბაგრატმა მამის სამფლობელო – ამიერ ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი მემკვიდრეობით მიიღო. საქართველოს სამეფოს გარეთ კახეთი და ჰერეთი რჩებოდა და ბაგრატ III-მ 1008 წლიდან ყურადღება მათ მიაპყრო. ბაგრატ მეფემ კახეთში გაილაშქრა, შემდეგ ჰერეთში გადავიდა და ეს ქვეყანა დაიპყრო. მაგრამ ბაგრატის წასვლისთანავე ჰერმა დიდებულებმა ქვეყანა კახეთის ქორეპისკოპოსს გადასცეს. ბაგრატ მეფემ ხელმეორედ გაილაშქრა კახეთსა და ჰერეთში და ორნლიანი ბრძოლის შემდეგ, 1010 წელს კახეთის ყველა ციხე დაიკავა, კახეთი და ჰერეთი მთლიანად შემოიერთა, ხოლო ქორეპისკოპოსი კვრიკე III თავის კარზე საპატიო ტყვეობაში წამოიყვანა.

ამის შემდეგ ბაგრატ III ისევ ტაო-კლარჯეთს მიუბრუნდა. ტაო-კლარჯეთის შემოერთების მიუხედავად, ამ მხარის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი, ციხე-ქალაქი არტანუჯი ბაგრატიონთა კლარჯული შტოს – „კლარჯ ხელმწიფეთა“ ხელში რჩებოდა. 1010 წელს ბაგრატ III-მ „კლარჯი ხელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თვისნი მამის დისწულისანი“ ფანასკერტის ციხეში მიიწვია, შეიპყრო და მათი ქვეყანა შემოიმტკიცა.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ ბაგრატ III-ის ტიტულს „აფხაზთა და ქართველთა მეფე“, „რანთა (ჰერეთა) და კახთა“ მეფის ტიტულიც დაემატა და ასე ჩამოყალიბდა: „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“.

ამრიგად, XI საუკუნის დასასწისში ბაგრატ III-მ ისტორიული ქართული მინების დიდი ნაწილი გააერთიანა და საფუძველი ჩაუყარა ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიას – „საქართველოს“. საქართველოს სამეფოს ფარ-

გლებში მხოლოდ ისტორიული ქართული მიწების მცირე ნაწილი – თბილისი და მისი შემოგარენი, ქვემო ქართლი, იმიერ ტაო, სპერი და ბასიანი არ შედიოდა.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ ბაგრატ მეფეს განძის ამირა ფადლონი დაუპირისპირდა, რომელმაც კახეთ-ჰერეთის რბევას მიჰყო ხელი. ბაგრატ III შირაკის მეფე გაგიკთან ერთად განძის საამიროში შეიჭრა და ქალაქი შამქორი აიღო, რის შემდეგაც ამირა ფადლონმა საქართველოს მეფეს ხარკის გადახდა აღუთქვა. ამ დროს საქართველოს მეფის უზენაესობას შარვანისა და ადარბადაგანის მაჰმადიანი მმართველებიც აღიარებდნენ. ასე რომ, ბაგრატ III-მ სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი თავის ხელში გააერთიანა. XI საუკუნის ქართველი მემატიანის ცნობით, ბაგრატ III-მ „დაიცყრა ყოველი კავკასია თვთმ-პყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე“.

ჯიქეთი საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი პროვინცია იყო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მისი ადმინისტრაციული ცენტრი კი – ძველი ქართული ქალაქი ნიკოფისია. ციხე-ქალაქ ნიკოფისის დასავლეთით, მდ. ნიკოფისიაზე გადიოდა საქართველოს სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი.

„გურგენს“, „გურგენის ზღვას“ ჩვენი წინაპრები კასპიის ზღვას უწოდებდნენ. ეს სახელი კასპიის ზღვას ძველმა სპარსელებმა შეარქეს, რაც მათ ენაზე „მგლების ქვეყნის ზღვას“ ნიშნავს. „მგლების ქვეყანას“ ისინი კასპიის ზღვის სამხრეთით და დასავლეთით მდებარე ქვეყნებს, მათ შორის ქართლსაც ეძახდნენ.

ბაგრატ III-ს თანამედროვენი ვახტანგ გორგასალს ადარებდნენ: „შემდგომად დიდისა ვახტანგ გორგასალი-სა არავინ გამოჩენილა მისი მსგავსი დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა; იყო ეკლესიათა მაშენებელი, გლახაკთა მოწყალე და სამართლიანი ყველას მიმართ“, – წერს მის შესახებ ქართველი მემატიანე. ბაგრატ III-

ის დროს დაიწყო სვეტიცხოვლის ტაძრის განახლება, ამ დროსვე აშენდა ქუთათისის ღმრთისმშობლის ტაძარი, ხცისი, ნიკორწმინდა, კაცხი, ბედია. ბაგრატ III გახდა ყველაზე ძლიერი ხელისუფალი, ხოლო მისი სამეფო ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფო კავკასიაში.

1014 წლის 7 მაისს, 52 წლის ასაკში, ბაგრატ მეფე ტაოში, ფანასკერტის ციხეში გარდაიცვალა. საქართველოს გამართიანებელი მეფის ნეშტი დასავლეთ საქართველოში გადმოასვენეს და მის მიერვე აგებულ ბედის ღმრთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს. ამავე ტაძარშია შემონახული ბაგრატ III-ის ფრესკული გამოსახულება.

ბედის ღმრთისმშობლის ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს, XI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული საქართველოს ერთიანი მონარქიის გვირვენის წარმოადგენს. ქართველი მემატიანე ბაგრატ III-ის სახელმწიფობრივი მოღვაწეობისა და მისი სიდიადის წარმოსაჩენად მკითხველს მოუწოდებს, იხილოს მის მიერ აგებული ტაძარი და მისი „სამკაული“, რაც თავისთავად უნიკალური შემთხვევაა: „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედის ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“.

ბაგრატ III-ის მიერ ბედის ტაძრისათვის შეწირული უმთავრესი „სამკაული“ იყო ოქროს ბარძიმი, ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც, როგორც ჩანს, ტაძრის კურთხევის დროისათვის (999 წ.) დამზადდა, როგორც უმნიშვნელოვანესი სარწმუნოებრივი რელიკვია. ბედის ბარძიმზე ასეთი წარწერაა: „ნმიდაო ღმრთისმშობელო, მეობ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმშენებელთა, ამებ“.

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი თორმეტი წლის ვაჟი გიორგი I (1014-1027 წწ.) ავიდა. მეფის მცირებლოვნობით კახეთის ქორეპისკოპოსმა კვრიკე III-მ ისარგებლა, ტყვეობიდან გაიქცა, ადგილობრივი დიდებულების დახმარებით კახეთ-ჰერეთს დაეუფლა და მეფის ტიტული მიიღო. ამ დროიდან მთელი XI საუკუნის მანძილზე კახეთ-ჰერეთი საქართველოს სამეფოს ჩამოშორებული იყო. მისი მეფეები „რანთა და კახთა მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. ეს სამეფო მოიცავდა ტერიტორიას მდ. ქსნიდან მდ. ალჯიგანჩამდე და დიდოეთ-ხუნძახიდან მტკვრამდე. მის ფარგლებში შედიოდა ჰერეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მდინარეების: გიშისწყლის, ქურმუხის, კარისწყლის, ბელაქნისწყლის, მანიმისწყლის ხეობები (ახლანდელი ბელაქნის, ზაქათალის, კახის და შაქის რაიონები აზერბაიჯანში). სამეფოს ცენტრი გახდა თელავი.

კახეთ-ჰერეთის მეფემ კვრიკე III-მ (1014-1037) ისარგებლა გიორგი I-ის დროს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის გართულებით, სახელდობრ, ბიზანტიასთან კონფლიქტით, და საქმაოდ გაძლიერდა. მან თავის სამეფოში დიდი აღმშენებლობა გააჩადა. მის დროს დასრულდა ალავერდის ბრწყინვალე ტაძრის მშენებლობა. საქართველოს ერთიანი სამეფოდან გამოყოფის მიუხედავად, კვრიკე III-ს საერთოქართული საქმისათვის არ უდალატია და გიორგი I-ს ყოველნაირად ეხმარებოდა ბიზანტიასთან დაპირისპირების დროს.

საქართველოს სამეფოს მესვეურებმა უპირველეს ამოცანად დავით კურაპალატის მემკვიდრეობის – იმიერ ტაოს დაბრუნება გადაწყვიტეს. იმ დროს, როდესაც ბასილი კეისარი ბულგარელებთან მძიმე ომში იყო ჩაბმული, 1014-1016 წწ. გიორგი I სამხრეთ ტაოში შეიჭრა და ყველა ციხე დაიკავა. 2018 წელს ბასილი კეისარმა გამარჯვებით დაამთავრა ომი ბულგარელებთან და საქართველოსთვის

მოიცალა. კეისარმა გიორგი I-ს იმიერ ტაოში მის მიერ დაკავებული ციხეების დაცლა და დავით კურაპალატის სამფლობელოს ის ნაწილიც მოსთხოვა, რომელიც თავის დროზე ბაგრატ III-ს დაუტოვა.

გიორგი I-მა კეისარს უარი შეუთვალა, რასაც ბიზანტია-საქართველოს 1021-1022 წლების ომი მოჰყვა. საქართველო ამ იმში დამარცხდა და კეისარმა დავით კურაპალატის სამფლობელოს დიდი ნაწილი დაიკავა. იმავდროულად კეისარმა 1021 წელს ვასპურაკანის სომეხთა სამეფო გააუქმა და ბიზანტიას უშუალოდ შეუერთა, ხოლო ანისის მეფეს იოანეს-სუმბატს დავით კურაპალატის მსგავსად ანდრეძი დააწერინა, რომლის თანახმადაც მეფის სიკვდილის შემდეგ ეს სამეფო ბიზანტიას უნდა შეერთებოდა (1041 წელს იოანე-სუმბატი გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძმისნული გაგიკ II ავიდა. 1045 წელს ბიზანტიელებმა გაგიკ II მოტყუებით კონსტანტინოპოლიში გაიწვიეს და სამეფო შეიერთეს). ასეთ ვითარებაში, გიორგი I-მა ბიზანტიასთან შეუპოვარი ბრძოლით, ფაქტობრივად, საქართველოს დამოუკიდებლობა გადაარჩინა. ნიშანდობლივია, რომ გიორგი I ერთადერთია XI საუკუნის საქართველოს მეფეთა შორის, რომელიც ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს არ ატარებდა. გიორგი I-ის დროინდელი საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან კარგად აისახა კონსტანტინე გამსახურდიას შესანიშნავ რომანში „დიდოსტატიის მარჯვენა“.

1027 წელს გიორგი I გარდაიცვალა და ტახტზე მისი ვაჟი ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) ავიდა. მისი მეფობის დროს რთული საშინაო და საგარეო-პოლიტიკური ვითარება სუფევდა. უაღრესად გართულებული იყო ურთიერთობა ბიზანტიასთან. ბიზანტიელებმა ზავით გათვალისწინებული ყველა ციხე-სიმაგრე ვერ დაიკავეს და იმიერ ტაოს გარდა ფეხი მკვიდრად ვერსად მოიკიდეს. საქართველოს ხელისუფლება არა თუ ამ ციხე-სიმაგრეების დაცლას არ აპირებდა, არამედ დაუინებით

ცდილობდა იმ ციხეების დაბრუნებას, რომლებიც გიორგი I-თან დადებული ზავით ბიზანტიიელებს უკვე დაკავებული ჰქონდათ. 1028 წელს ბიზანტიიელები შავშეთისა და კლარჯეთის დაპყრობას შეეცადნენ, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწიეს. იმავდროულად ბაგრატ IV თბილისის საამიროსა და კახეთის სამეფოს შემოსაერთებლად იბრძოდა, თუმცა ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, დიდწილად იმიტომ, რომ ახალი დამპყრობლები თურქ-სელჩუკები გამოჩნდნენ.

ბიზანტიიელების, შემდეგ კი თურქ-სელჩუკების შემოსევების შედეგად ისტორიული ქართული მიწების გაერთიანებას თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა და მხოლოდ XII საუკუნის პირველ მეოთხედში დასრულდა.

\*\*\*

XI საუკუნის 40-იან წლებში შუა აზიიდან ახლო აღმოსავლეთს წამლეკავ ტალღებად ახალი დამპყრობლები, მომთაბარე თურქული ტომები მოედვნენ. მათ სათავეში სელჩუკთა საგვარუულო იდგა და ამიტომ თურქ-სელჩუკებს უწოდებენ. სელჩუკებმა რამდენიმე გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს ბიზანტიიელებს და მათ ბატონობას აღმოსავლეთში სერიოზული საფრთხე შეუქმნეს.

საქართველოში თურქ-სელჩუკები პირველად XI საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდნენ. თურქთა ლაშქარმა სულტან ალფა-არსლანის (1063-1072 წწ.) სარდლობით ორჯერ – 1064 და 1068 წლებში – ქვეყანა ააოხრეს. ასეთ ვითარებაში, 1072 წლის 24 ნოემბერს ბაგრატ IV გარდაიცვალა. იგი დიდი პატივით დაკრძალეს ჭყონდიდის ტაძარში. დაახლოებით იმავე ხანებში სელჩუკთა სულტანი ალფა-არსლანიც გარდაიცვალა შუა აზიაში. ასე რომ, ქართველი მემატიანის თქმით, მათ ერთმანეთის სიკვდილი ვერც კი გაიგეს.

1071 წელს თურქ-სელჩუკებმა სომხეთში, მანაზკერტთან,

ბიზანტიულების წინააღმდეგ გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში გაიმარჯვეს. 1074 წელს ბიზანტიამ სელჩუკებთან ზავი დაღო და თურქებს მცირე აზის უდიდესი ნაწილი დაუთმო. ამის შემდეგ თურქებს მცირე აზიაში დასასახლებლად გზა გაეხსნათ. ზავის თანახმად, თურქების ხელში გადადიოდა ქართული მინები და ციხე-სიმაგრები, რომლებიც ბიზანტიას ჰქონდა მიტაცებული. ასეთ ვითარებაში, 1076 წელს, ბიზანტიის იმპერიის დღმოხელე, აღმოსავლეთ სამფლობელოების გამგებელი, წარმოშობით ქართველი გრიგოლ ბაკურიანის-ძე დიპლომატიური მისით ტაოში ჩამოვიდა და ბანაში საქართველოს მეფეს გიორგი II-ს (1072-1089 წწ.) შეხვდა. ბიზანტიამ გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელით საქართველოს გადმოსცა იმიურ ტაოს ციხეები და კარის ციხე-ქალაქი მისი მიმდგომი ქვეყნითურთ. სულ მალე, როგორც ქართველი მემატიანე აღნიშნავს, გიორგი მეფემ დაიკავა „ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისა“. ზოგიერთი ციხე თურქებს ეკავათ უკვე და მათი დაკავება ქართველებს ბრძოლით მოუხდათ.

კარის ციხე-ქალაქი მდ. არაქსის მარცხენა შენაკადის კარისწყლის (ამჟამად მდ. ყარს-ჩაი) მარჯვენა ნაპირზე, ამაღლებულ პლატოზე, შუა საუკუნეების მნიშვნელოვან სავაჭრო-საქარავნო გზაზე მდებარეობდა. ციხე-ქალაქის სახელწოდების თურქული ფორმა ყარსი.

ისტორიულ მხარეს ვანანდს მდ. არაქსის მარცხენა შენაკადის მდ. ახურიანის აუზში ვრცელი ზეგანი ეჭირა, რომელსაც დღეს ყარსის ზეგანი ეწოდება. ამ ქვეყანას აღმოსავლეთიდან მდ. ჩილდირისწყალი, სამხრეთიდან მდ. არაქსი, სამხრეთ-დასავლეთით ბასიანი, ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით კარის მთები საზღვრავდა. ქართველები ვანანდს კარის ქვეყანასაც ეძახდნენ მხარის პოლიტიკური ცენტრის კარის ციხე-ქალაქის სახელის მიხედვით.

კარნიფორი (სომხურად კარნის ხევი) პატარა ისტორიული მხარე იყო მდ. ახურიანის სათავეებში და კარნუ-ქალა-

ქიდან (სომხურად კარინი) კარის ქვეყნამდე ტერიტორიას მოიცავდა. ადრე ის ქართულად კარნისხევად იწოდებოდა.

ქართველების ასეთ მოქმედებას თურქთა ახალი შემოსევა მოჰყვა. მათ კარის ციხე-ქალაქი დაიკავეს, შემდეგ საქართველოს სიღრმეში შემოიჭრნენ და გიორგი II ჯავახეთში დაამარცხეს. ამ დროიდან თურქებმა საქართველოში ჩამოსახლება დაიწყეს. 1080 წლიდან დაიწყო „დიდი თურქობა“ – სელჩუკთა გამუდმებული შემოსევები, რომელმაც ქვეყანა განადგურების პირამდე მიიყვანა. თურქი მომთაბარეები თავიანთი ოჯახებით, საქონლით და მთელი ავლა-დიდებით მოდიოდნენ და საქართველოში მკვიდრდებოდნენ. ქართველი მემატიანის ცნობით, ასისფორნი (სომხ. ასის ხევი, ტაოს ერთი ნაწილის, თორთუმსა და მდ. ჭოროხს შორის მდებარე ქვეყნის სომხური სახელწოდება, – ავტ.) და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღიღსო თურქითა. გაწყვიტეს და დაატყვევეს ამ მხარეების ყველა მკვიდრი... დაწუეს ქუთათისი და არტანუჯი და უდაბნონი (მონასტრები) კლარჯეთისანი ... დარჩნენ თურქები ამ მხარეებში თოვლის მოსვლამდე, ამოწყვიტეს და შეჭამეს ქვეყანა ... და გაგრძელდა ასეთი უბედურება ქრისტიანებზე, რადგან თურქები გაზაფხულის პირზე მოვიდოდნენ ... და დაზამთრებისას წავიდოდნენ და აღარ იყო იმუამად თესვა და მკა, მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გადაიქცა და კაცთა ნაცვლად მხეცი და ნადირი დამკვიდრდა.

გიორგი II-ს გაცილებით უფრო რთული და მძიმე საერთაშორისო ვითარების პირობებში მოუხდა თურქთა შესაჩერებლად ზრუნვა. ბიზანტიის დამარცხების შემდეგ საქართველო წინა აზიაში სელჩუკთა წინაშე მარტო დარჩა, მაგრამ მთავარი უბედურება მაინც ის იყო, რომ ქართული მიწების მთლიანად შემოკრება ვერ მოხერხდა. გიორგი II-მ, რომელსაც არც საშინაო საქმეები ჰქონდა დალაგებული, ძალების სრული მობილიზება და მტრისთვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. 1083 წელს ის თურქთა სულტანს

მალიქ-შაჰს (1072-1092 წწ.) ისპაჲანში პირადად ეახლა, მორჩილება გამოუცხადა და ხარკი აღუთქვა. სულტანმა მორჩილებისა და ხარკის სანაცვლოდ გიორგი II-ს მშვიდობა და ქვეყნის რბევის შეწყვეტა აღუთქვა, თუმცა ამის შემდეგაც თურქები არბევდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას.

ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ძალებისათვის აშკარა გახდა გიორგი II-ის უუნარობა დაეძლია წამოჭრილი სიძნელეები და ქვეყანა მძიმე კრიზისიდან გამოეყვანა. ამიტომ იყო, რომ მას უარი ათქმევინეს მეფობაზე და აიძულეს ტახტზე თავისი 16 წლის ვაჟი – დავითი აეყვანა. როგორც მოგვიანებით ქართველი მემატიანე აღნიშნავდა, „ბრელსა უკუნსა შინა ინტო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობა-თამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა“.

## ანუ ოღმოცისკრებად შექმან

დავით IV-ის (1089-1125 წწ.) წინაშე ორი უმთავრესი ამოცანა იდგა: საქართველოდან თურქთა განდევნა და სელჩუკთა უღლისაგან ქვეყნის გათავისუფლება, და ქართული მიწა-წყლის გაერთიანების დასრულება. სწორედ ამ დიდი მიზნის მიღწევას დაუკვემდებარა დავითმა მთელი თავისი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა. პირველ რიგში, მან თავაშვებული დიდაზნაურები დაიმორჩილა, ქვეყანაში გაატარა რეფორმები, რამაც მეფის ხელისუფლება განამტკიცა. სამეფო ხელისუფლების განმტკიცება მნიშვნელოვნად განაპირობა მტკიცე საპოლიციო აპარატისა და სადაზვერვო სამსახურის – „მსტოვართა“ ინსტიტუტის შექმნამაც. ასეთმა ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადა ქვეყანაში ფეოდალური ქაოსის აღკვეთა და მკაცრი თვითმ-პყრობელური რეჟიმის დამყარება, ყოველივე ამან კი მყარი ნიადაგი შექმნა აქტიური საგარეო-პოლიტიკური კურსის გატარებისა და საქართველოდან და სამხრეთ კავკასიიდან თურქ-სელჩუკთა განდევნისათვის. საგარეო-პოლიტიკური

ვითარებაც ხელსაყრელ კონტურებს იძენდა.

1096 წელს დაიწყო ევროპელი რაინდების, „ჯვაროსანთა ლაშქრობები“ თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ქრისტიანული სიწმიდეების გასათავისუფლებლად, უპირველეს ყოვლისა, ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად. ჯვაროსანებმა მალევე, 1098 წელს ქალაქები ედესა და ანტიოქია, ხოლო 1099 წელს იერუსალიმი აიღეს. ამით ისარგებლა დავით მეფემ და 1099 წელს თურქებს ხარკი შეუწყვიტა, რაც სულტნის მორჩილებაზე უარის თქმას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ნიშნავდა. იმუამად შინაომებით მოცულმა სელჩუკთა სახელმწიფომ საქართველოზე გამოსალაშქრებლად ვერ მოიცალა. სწორი საშინაო პოლიტიკისა და ხელსაყრელი საგარეო ვითარების მოხერხებულად გამოყენების შედეგად, როგორც ქართველი მემატიანე აღნიშნავს, „შეწევნითა ღმრთისათა მოემენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერდარა დაიზამთრებდეს ქართლს“.

XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის დამდეგს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო დაიშალა და მის ადგილზე მუსლიმური სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. მცირე აზიაში, ბიზანტიისათვის წართმეულ ტერიტორიაზე 1077 წელს რუმის სასულტნო წარმოიშვა. სახელწოდება რუმი – რომიდან მომდინარეობს. ასე ეძახდნენ თურქები ბიზანტიის იმპერიას. ვანის ტბის გარშემო, ისტორიული სომხეთის ერთ ნაწილში ხლათის სასულტნო, იგივე შაჰ-არმენთა (სომეხთა შაჰი) სახელმწიფო წარმოიქმნა. ხლათის სასულტნოს ჩრდილო-დასავლეთით კარნუქალაქის საამირო ჩამოყალიბდა, რომელშიც ქართული მხარე ბასიანიც შედიოდა. კარნუქალაქის საამიროს მეზობლად, ჩრდილო-აღმოსავლეთით ყარსის საამირო ჩამოყალიბდა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რანი, იგივე არანი მდებარეობდა, რომლის პოლიტიკური ცენტრი ციხე-ქალაქი განძა იყო; უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ადარბადაგანის საათაბაგო წარმოიშვა.

დავით IV, რომელსაც მადლიერმა ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი უნდა, საქართველოს მიწა-წყლიდან თურქთა განდევნას შეუდგა. ქართული მიწების თურქ-სელჩუკთა გათავისუფლების გარდა მის წინაშე გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის – ქვემო ქართლის, ტფილისისა და მისი შემოგარენის, კახეთ-ჰერეთის შემოერთების საკითხი იდგა. დავით აღმაშენებელმა ეს საქმე კახეთ-ჰერეთით დაიწყო. უპირველეს ყოვლისა, მეფემ ზედაზნის ციხის აღება გადაწყვიტა, რომელსაც კახეთ-ჰერეთის სამეფოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1103 წელს „მოსცა უამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარულო კვრიკეს (კვირიკე IV, — ავტ.) ციხე ზედაზენი“, გვაუწყებს მემატიანე. ამ აქტით კახეთის საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. ამას ისიც დაერთო, რომ მალევე, ერთი წლის შემდეგ, კვრიკე მეფე გარდაიცვალა და კახეთში მისი ძმისწული აღსართანი გამეოდა. ჰერეთ-კახეთში დავით მეფე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ბევრი დიდებული მის პოლიტიკას მხარს უჭერდა, მით უმეტეს, რომ ეს პოლიტიკა მთელი საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად. დავით მეფის მომხრე ჰერმა დიდებულებმა აღსართან II კახთა მეფე შეიპყრეს და დავითს გადასცეს. ამის შემდეგ მეფემ იმავე 1104 წელს კახეთ-ჰერეთი დაიკავა: „და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი“, — გვაუწყებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ამით დასრულდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების საუკუნოვანი ბრძოლა კახეთის შემოსამტკიცებლად.

საქართველოს მეფის მიერ კახეთ-ჰერეთის დაკავებას მეზობელი მაპმადიანი მფლობელები უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ. საქართველოს გაძლიერება და გაფართოება, ქართული მიწა-წყლის გაერთიანება მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. იმავე 1104 წელს თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი განძის ათაბაგის მეთაურობით საქართველოსკენ დაიძრა. მტერს ჰერეთ-კახეთის დი-

დებულთა ერთი ნაწილიც მიემხრო. დავით მეფემ დიდი ჯარის შეკრება ვერ მოასწრო და მცირე ძალით შეეგება მტერს. ბრძოლა გაიმართა ერზუხში. არნახული ვაჟკაცობისა და გმირობის მაგალითს თვით მეფე დავითი იძლეოდა. ქართველები თავგანწირვით იბრძოდნენ და ბრნყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამრიგად, დავით აღმაშენებელმა ჰერეთ-კახეთი საბოლოოდ შემოიმტკიცა.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ დავით IV-მ ქვემო ქართლში გამაგრებულ თურქებს შეუტია. მათი უმთავრესი ძალები თბილისში იყო თავმოყრილი, ამიტომ მეფემ თბილისს სამხრეთიდან შემოუარა და 1110 წელს თურქთა მნიშვნელოვანი დასაყრდენი ციხე-ქალაქი სამშვილდე აიღო, შემდეგ ქართველთა ლაშქარმა ძერნას ციხეც დაიკავა. თურქები სამშვილდის ციხიდან აკონტროლებდნენ მთელ ქვემო ქართლს, ამიტომ მისი დაკარგვით თავზარდაცემულებმა სომხითის უმრავლესი ციხეები დატოვეს და გაიქცნენ. დავით IV-ის მიერ ქვემო ქართლის უმრავლესი ციხეების დაკავების შემდეგ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს, ფაქტობრივად, ბოლო მოეღო. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სომხთა მიერ დაპყრობილი ეს ქართული მხარე ისევ საქართველოს დაუბრუნდა. თუმცა ამ სამეფოს პოლიტიკური ცენტრი ლორეს ციხე-ქალაქი და სხვა რამდენიმე ციხე ისევ თურქთა ხელში რჩებოდა.

ქართველთა ამ გამარჯვებას თურქ-სელჩუკთა მორიგი გამოლაშერება მოჰყვა. თურქებმა დაარბიეს ქვემო ქართლის მხარე თრიალეთი, რომელიც მდ. ქციის (ხრამის) ზემო წელსა და მდ. შავნყაროსნელის (ქციის მარჯვენა შენაკადი) ხეობებს მოიცავდა. დავით მეფე მოულოდნელად თავს დაესხა მტერს და სასტიკად დაამარცხა. საქართველოს მეფეს სახელი ისე შორს ჰქონდა გავარდნილი, რომ მისი გამოჩენა თურქებს შიშის ზარს სცემდა.

ამის შემდეგ, ქართველთა ლაშქარმა სამეფოს პირველი ვაზირისა და მეფის აღმზრდელის, გიორგი მწიგნობართუხუ-

ცეს-ჭყონდიდელის მეთაურობით 1115 წელს თურქებს რუს-თავის ციხე-ქალაქი წარმართვა. ქვემო ქართლის პარალელურად დავით მეფემ შეტევა საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-და-სავლეთი კუთხეების მიმართულებითაც წარმართა და 1116 წელს ტაოში დამკვიდრებულ თურქებს შეუტია, გარეკა ისი-ნი და ეს მხარე საქართველოს შემოუმტკიცა. იმავდროულად, ქართველთა ლაშქარი 1118 წელს რახსის (მდ. არაქსი) ნაპირებზე დაბანაკებულ თურქებს დაესხა თავს და დაამარცხა. იმა-ვე წელს დავით აღმაშენებელმა თურქთაგან ძველი ქართული ციხე-ქალაქი ლორე და აგარანიც გაათავისუფლა.

ლორე 1065 წლიდან ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს პოლი-ტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი იყო. მისი აღებით ქვემო ქართლის შემოერთება დასრულდა. ამის შემდეგ დავით აღმაშენებელმა თავის ტიტულს „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა (ჰერთა) და კახთა“ „სომეხთა მეფის“ (იგულისხ-მება ტაშირ-ძორაგეტის სამეფო) ტიტულიც დაუმატა. ასეთი ტიტულით არის მოხსენიებული დავით აღმაშენებელი მისი საწინამძლვრო ჯვრის წარწერაში: „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე“. მსგავსი ლეგენდაა ამოტვი-ფრული დავით IV-ის მიერ მოჭრილ მონეტაზე: „დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“.

თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად დავით აღმაშენებელი დიდად ზრუნავდა ჩრდილოეთ კავკა-სის ხალხებთან ურთიერთობის მოგვარებაზე, რომლებიც არც მანამდე იყვნენ დაშორებული ქართული პოლიტიკური სამყაროსაგან და მის გავლენასაც განიცდიდნენ.

\*\*\*

ჩრდილოეთ კავკასია ეთნიკურად მეტად ჭრელი იყო და ცენტრალიზებული სახელმწიფოც არ არსებობდა, რაც გაძლიერებულ ქართულ სახელმწიფოს აქ თავისი გავლე-ნის გავრცელებისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. საქართველოს უძველესი დროიდანვე აინტერესებდა ჩრ-

დილოეთ კავკასიაში მიმავალი გზების გამაგრება და კე-  
თილმეზობლური ურთიერთობა იქ მცხოვრებ ხალხებთან,  
იქიდან სამხედრო დახმარების უზრუნველყოფა. ჩრდი-  
ლოეთ კავკასიის ხალხებსაც ჰქონდათ ინტერესი საქარ-  
თველოს მიმართ. განვითარებული მეურნეობის მქონე და  
ძლიერი საქართველო სულ უფრო მეტად იზიდავდა თა-  
ვისკენ კავკასიის მთის მოსახლეობას.

კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ  
კალთებზე და მთისწინეთში თანამედროვე ჩრდილოკავკა-  
სიელი ხალხების აბაზების, ადიღების (ჩერქეზები), ოსების,  
ჩეჩენ-ინგუშების (ვაინახები), დაღესტნელების წინაპრები  
ცხოვრობდნენ. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპი-  
როზე ჯიქები ცხოვრობდნენ. „ჯიქების“ სახელით ქართულ  
საისტორიო წყაროებში შავიზღვისპირეთში მცხოვრე-  
ბი აბაზა-ადიღები მოიხსენიება. ჯიქეთი VIII საუკუნიდან  
მაინც მოქცეული იყო ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ  
სივრცეში, ეს ქვეყანა ციხე-ქალაქ ნიკოფილით „აფხაზ-  
თა“ სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

ჯიქების აღმოსავლეთით, მდ. ყუბანის აუზში, ქართუ-  
ლი წყაროების ქაშაგები, იგივე ადიღები (ჩერქეზები) ცხო-  
ვრობდნენ. იმიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ  
ნაწილში, მდ. ყუბანის სათავეებიდან მდ. თერგამდე, აღა-  
ნები ცხოვრობდნენ, რომელთაც ქართული წყაროები ოვს-  
თა სახელით მოიხსენიებენ.

ალან-ოვასების აღმოსავლეთით დურძუკები (ძურძუკე-  
ბი), თანამედროვე ჩეჩენ-ინგუშების (ვაინახები) წინაპრები  
ცხოვრობდნენ. ინგუშების თვითსახელწოდებაა ღალდა,  
საიდანაც მომდინარეობს მათი ქართული სახელწოდება  
ღლილვი, მათი ქვეყნისა კი – ღლილვეთი. დურძუკეთი მდ.  
ასასა და მდ. არღუნის ზემო წელს მოიცავდა. დურძუკე-  
ბის აღმოსავლეთით, მდ. სულაკის აუზში ღუნძები (ხუნძე-  
ბი), თანამედროვე ავარიელების წინაპრები ცხოვრობდნენ.  
მათი ქვეყანა ღუნძეთის და ხუნძეთის სახელით იხსენიება

ქართულ წყაროებში. ლუნძეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ანდის ყოისუს ზემო დინებაზე ისტორიული მხარე დიდოეთი მდებარეობდა. დიდოელები ენით, ყოფითა და კულტურით ლუნძებს ენათესავებოდნენ. ლუნძეთის აღმოსავლეთით ლეკები ცხოვრობდნენ. ლეკების სახელით ქართულ წყაროებში დაღესტნელები მოიხსენიება.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ადრიდანვე ჰქონდათ. X საუკუნის | ნახევარში „აფხაზთა“ მეფეების კონსტანტინე III-ისა (893-922 წწ.) და გიორგი II-ის (922-957 წწ.) აქტიური მეცადინეობით ალან-ოვსები გაქრისტიანდნენ. X საუკუნის | მეოთხედში ალანეთში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, რაშიც გადამწყვეტი როლი „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-მ შეასრულა. ამ ფაქტს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი (901-907, 912-925 წწ.) „აფხაზთა“ მეფისადმი გაგზავნილ წერილში საგანგებოდ აღნიშნავდა: „შენი ღვთისმოსავობის საბუთია შენი ღვთისნიერი სწრაფვა, რომელიც გამოიჩინება და იჩენ, რომ ალანთა ტომი იხსნა და ჯეშმარიტება შეაცნობინო ... შენ ღვთის ცნების მიხედვით დიდი ამაგი დასდედა განანათლე ალანის მმართველი და ყველა ისინი, ვინც მასთან ერთად ღირსი გახდა წმინდა ნათლისღებისა“.

ქრისტიანობის გავრცელებასა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად „აფხაზთა“ მეფემ გიორგი II-მ ალანეთში ფართო საეკლესიო მშენებლობაც გააჩანა. მდ. ყუბანის ზემო წელი, რომელიც „აფხაზთა“ სამეფოს უშეუალოდ ესაზღვრებოდა, მდიდარია X საუკუნის ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ყუბანის მარცხენა შენაკადის დიდი ზელენჩუკის ხეობაში შემორჩენილია სამი ტაძარი, რომელთაც ლიტერატურაში ზელენჩუკის სამხრეთის, შუა და ჩრდილოეთის ტაძრებს უნოდებენ; ყუბანის მარცხენა შენაკადის მდ. თებერდას ხეობაში დღემდე შემორჩა შოანას და სენტის ტაძრები. ყველა ისინი ქარ-

თული ხუროთმოძღვრების ტიპურ ნიმუშებადაა მიჩნეული. ეს ტაძრები მსგავსებას ამჟღავნებენ აფხაზეთის X-XI სს. ტაძრებთან – ანაკოფია, ბიჭვინთა, ლიხნი.

ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები დღემდე შემორჩა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სოჩისა და მის შემოგარენში. ქალაქ ადლერის შემოგარენში XI-XIII სს. ხუთი ქართული დარბაზული ეკლესის ნაშთია შემორჩენილი. ამ ძეგლების გეგმარება და კონსტრუქცია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების (დრანდა, ნოქალაქევი) ანალოგიურია. დაბა ლოოში, ზღვის მახლობლად, მთაზე, შემორჩენილია შუა საუკუნეების ტაძარი, სამაფსიდიანი დარბაზული ეკლესია (IX ს.), რომელშიც ქართული არქიტექტურის ელემენტები ნათლად ჩანს. და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან შუა საუკუნეებში ეს მხარე ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში იყო მოქცეული.

„აფხაზთა“ მეფეების პოლიტიკა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებასა და მხარდაჭერასთან ერთად გულისხმობდა ქართული ენისა და ქართული კულტურის ფართოდ შეჭრას ამ მხარეში და, შესაბამისად, ქართული პოლიტიკური გავლენის გავრცელებას. ასეთივე ვითარებაა იმიერკავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც კახეთის სამთავრო და ჰერეთის სამეფო აქტიურობდნენ.

მთიან დაღესტანში, ავარეთში, ქართული წყაროების ღუნძეთში, VIII საუკუნიდან ვრცელდება ქართული ქრისტიანობა, ქართული კულტურა, ქართული დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა ხუნძური ენის პირველი წერილობითი ძეგლები. ღუნძეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს ხუნძახს დამყურე აქაროს მთაზე შემორჩენილია X-XIV სს. ათორმეტ მოციქულთა სახელობის ტაძარი ქართულწარწერებიანი ქვის ჯვრებით. აღსანიშნავია ასევე დათუნას ეკლესია (X-XI სს.) მდ. ავარიის ყოისუს მარცხენა ნაპირზე, ვიწრო, კლდოვან ხეობაში. ინგუშეთში, ქართული წყაროების დურ-

ძუკეთში, რომელიც ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში საქართველოზე დამოკიდებული ქვეყანა იყო, შემორჩენილია X-XI სს. ტყობის-იერდის, ალბი-იერდის ტაძრები ქართული წარწერებით. ისევე, როგორც ღუნძეთში, დურძუკეთშიც გავრცელებული იყო ქართული ენა და დამწერლობა, ქართულ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება.

XI საუკუნეში საქართველოს მეფების ბაგრატ III-ის (978-1014 წწ.), გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) და ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) ხანაში საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე კიდევ უფრო გაიზარდა.

საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი უმთავრესი გზა არაგვისა და თერგის ხეობებზე გადიოდა, რომელსაც „გზა დარიალისა“ ერქვა. მდ. თერგის ვიწრო ხეობის ბოლოს უძველესი დროიდან დარიალის ციხე იდგა და ამ გასასვლელს აკონტროლებდა. მას ქართველები არაგვის კარს ან დარიალანს ეძახდნენ. „დარიალანი“, „დარიალი“ (ძველსპარსულად „დარ-ი ალანი“) „ალანთა კარს“ ნიშნავს. ამ კარის იქით, იმიერკავკასიაში ალანთა ქვეყანა იყო. ალანებს ქართველები „ოვსებს“ ეძახდნენ, ამიტომ საქართველოდან თერგის ხეობით ოვსეთში გასასვლელს ქართველები „ოვსთა კარსაც“ უწოდებდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთაგან ქართველებთან ყველაზე მეტად ოვსები იყვნენ დაკავშირებული. ოვსთა სამხედრო ძალას აქტიურად იყენებდა ბაგრატ IV, რომელიც ოვსთა მეფე დორლოლელს ნათესაურადაც დაუკავშირდა, მისი და ბორენა შეირთო. ოვსებზე საქართველოს გავლენა განსაკუთრებით დავით IV აღმაშენებლის დროს გაიზარდა. დავით აღმაშენებელმა გაამაგრა დარიალის გზა, ააგო აქ ციხეები და სასახლეები და მასზე სრული კონტროლი დაამყარა. როგორც მემატიანე აღნიშნავს, 1118 წელს მეფემ „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი“. დარიალის კარების

ხელში აღებასა და გამაგრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის მთიანეთსა და იმიერკავკასიის ხალხებზე გავლენის თვალსაზრისით. ამ დროიდან ოვსები საქართველოს ყმადნაფიცები გახდნენ. ასევე ყმადნაფიცობის პირობით შემოიმტკიცა საქართველოს სამეფომ ლევნი და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხები. საქართველოს სახელმწიფო ქართული ენის, ქართული ქრისტიანობის, ქართული კულტურის შეტანით ცდილობდა ეს ხალხები თანდათან მჭიდროდ დაეკავშირებინა საქართველოსთან და ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში შემოეყვანა.

დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული ინტერესი დარუბანდზე გამავალი გზის მიმართ გამოიჩინა. „დარუბანდი“ ერქვა ციხეს, რომელიც კეტავდა ვიწრო გასასვლელს კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, სადაც კავკასიონის ქედი უშუალოდ ზღვას ადგება. სპარსულად „დარ“ კარს ნიშნავს, „ბანდ/„ბენდ“ კი შეკვრას, დახშვას. შემდეგ აქ ქალაქი წარმოიშვა, რომელიც თავისი ნავსადგურით დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბდა. დავით მეფე სათანადო აფასებდა დარუბანდის ანუ კასპიის კარის დიდ სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიკურ მნიშვნელობას, ამიტომაც იბრძოდა მისთვის.

\*\*\*

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ საქართველო უშუალოდ გაუმეზობლდა შარვანს. საქართველოს ბრძოლაში თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შარვანის პოზიციას. დავით აღმაშენებელმა შარვანშაპს უფროსი ასული თამარი შერთო, რაც მიზნად ისახავდა შარვანის მბრძანებელთან შეთანხმებას და სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში მის გადმობირებას. შარვანშაპების გადაბირებას სელჩუკი სულტნებიც ცდილობდნენ. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა შარვანშაპი საბოლოოდ მაინც ვერ

გადმოიბირა, ამიტომ 1117 წლიდან მის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. უშუალოდ შარვანზე გალაშქრებამდე დავით მეფემ ჰერეთის ციხე-ქალაქი გიში აიღო, რომელიც საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლობას თურქთა მოკავშირეობით ინარჩუნებდა. ამით დასრულდა ჰერეთის შემოერთება.

ჰერეთში საბოლოოდ განმტკიცების შემდეგ დავით მეფემ შარვანს შეუტია და 1117 წელს ციხე-ქალაქი ქალაძორი, 1120 წლის თებერვალში კი ციხე-ქალაქი ყაბალა აიღო. 1120 წლის მაისში დავით აღმაშენებელმა ისევ გაილაშქრა შარვანში. იმავდროულად შარვანის წინააღმდეგ დარუბანდის ამირაც გამოვიდა. შარვანელებსა და დარუბანდელებს შორის ბრძოლაში შარვანის შაპი დაიღუპა და შარვანის ტახტზე საქართველოს მეფის სასურველი კანდიდატი ავიდა, რომელიც ამიერიდან მისი ერთგული იყო.

1120 წელს დავით აღმაშენებელი ფართო ფრონტით გადავიდა თურქთა წინააღმდეგ შეტევაზე. თურქ-სელჩუკები თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ პოზიციებს საქართველოს მისადგომებთან და საქართველოს ლაშქარიც გამუდმებული იერიშებით ერეკებოდა მტერს საყრდენი პუნქტებიდან. იმავდროულად მეფემ ტფილისის შევიწროება დაიწყო.

1045 წელს ტფილისის ამირა ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ ჯაფარიან ამირათა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა და ქალაქის მმართველობა „ტფილელი ბერების“ ხელში გადავიდა. „ბერი“ ძველ ქართულში ეკლესიის მსახურის გარდა უხუცესსაც აღნიშნავდა. „ტფილელი ბერნი“ ტფილისის საქალაქო თვითმმართველობის წარმომადგენლები იყვნენ ვაჭარ-მოქალაქეთა ზედაფენიდან. XI საუკუნის 80-იანი წლებიდან ტფილისი თურქ-სელჩუკთა ხელში გადავიდა. მას შემდეგ, რაც 1110-1115 წლებში დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკებს ტფილისის გარშემო მდებარე ციხე-ქალაქები გამოსტაცა, ქალაქი ფაქტობრივად აღყაში აღმოჩნდა. დავით აღმაშენებლისაგან შევიწროებული ტფილისის მმართველ მაპმადიან ვაჭარ-მოქალაქეთა ზედაფენა

თავდაცვის მიზნით მფარველს ეძიებდა. ამ მიზნით თურქები და „კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე“ და დახმარება სთხოვეს.

საქართველოს მეფის ენერგიულმა ღონისძიებებმა სამხრეთ კავკასიაში ჩამომსხდარი თურქებისა და ამ მხარის ქალაქების მესვეურთა შეშფოთება გამოიწვია. ერთი მხრივ, ქალაქების ვაჭართა წრეების წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოს მისადგომებიდან თურქთა განდევნის გამო კარგავდნენ როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საშუალებას, ასევე საკუთარ მფლობელობას ქალაქებში, და მეორე მხრივ, თურქ-სელჩუკებმა, საყრდენი პუნქტების დაკარგვის გამო საერთო ენა გამონახეს და საერთო მტრის წინააღმდეგ დახმარება სულტანს სთხოვეს. მალე შედგა თურქთა კოალიციური ლაშქარი, რომელსაც სათავეში ჯვაროსნებთან ბრძოლებში სახელმოხვეჭილი სარდალი ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი ჩაუდგა. თურქთა უზარმაზარმა ლაშქარმა კარნუ-ქალაქი და კარი გამოიარა და მანგლის-თრიალეთის გზით ტფილისისაკენ გამოემართა. ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზის მიზანს საქართველოში თურქთა ბატონობის აღდგენა და ტფილისის გამაგრება შეადგენდა. დავით აღმაშენებელმა მტერი საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, მანგლის-დიდგორში შემოიტყუა.

დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკთა თითქმის 300 ათასიან ლაშქარს მხოლოდ 56 ათასიანი ლაშქარი დაუპირისპირა. ბრძოლის დაწყების წინ მეფემ ლაშქარს სიტყვით მიმართა და სამშობლოს დასაცავად თავგანწირული ბრძოლისათვის მოუწოდა, ამასთანავე შეახსენა, რომ უკან დახევა შეუძლებელი იყო: „ეპა მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართ, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ

ღმერთს აღთქმა მიუცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის პრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით...“.

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე დაიწყო გრანდიოზული ბრძოლა დავით აღმაშენებლის ლაშქარსა და მასზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვან თურქთა კოალიციურ ლაშქარს შორის, რომელიც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. როგორც ქართველი მემატიანე აღნიშნავს, ეს იყო ნამდვილი „ძლევად საკუირველი“. დავით მეფე არ დაკმაყოფილდა ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვებით, ქართველთა ლაშქარმა ფეხდაფეხ სდია გაქცეულ მტერს, რითაც გონის მოსვლისა და კონტრშეტევის საშუალება მოუსპო და მისი სრული მარცხი განაპირობა.

დიდგორის ველზე ბრწყინვალე გამარჯვება ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლის შედეგად იქნა მოპოვებული. აქ თავი იჩინა ქართველი ხალხის ბრძოლისუნარიანობამ და გამარჯვების დიდმა წყურვილმა, დავითის დიდმა სამხედრო ნიჭმა, ბრძოლის ადგილის მოხერხებულად შერჩევამ, ბრძოლის ტაქტიკურმა ხერხმა. დიდგორის ომში გამარჯვებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის. დაიმსხვრა მითი თურქთა უძლეველობის შესახებ და მათ უღელქვეშ მყოფ ხალხებს გათავისუფლების იმედი ჩაესახა. ამასთანავე ამ გამარჯვებამ მეფეს ტფილისისაკენ გზა გაუხსნა.

ქალაქის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, თუმცა ტფილისი უბრძოლველად დანებებას არ აპირებდა. 1122 წლის თებერვალში დავით აღმაშენებელმა დიდი ბრძოლის შემდეგ ქალაქი აიღო. ქართველი მემატიანე ამ ფაქტს სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა: „აღიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა (იგულისხმება მუსლიმთა, – ავტ.) და დაუმკვიდრა თავის შთამომავლობას სატახტო ქალაქად საუკუნოდ“. ამრიგად, დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფოს დედაქალაქი ქუთათისიდან ტფილისში გადმოიტანა.

ტფილისის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელმა საომარი ოპერაციები სომხეთსა და შარვანში გადაიტანა. სანამ კავკასიის მისადგომები თურქ-სელჩუკთა ხელთ იყო, საქართველო დაცული ვერ იქნებოდა მათი შემოსევებისა-გან. ეს ნათლად გამოჩნდა იმითაც, რომ დავით IV-ის მიერ ტფილისის აღების შემდეგ ახლო აღმოსავლეთის სელჩუკთა მბრძანებელი სულტანი მაჰმუდი 1123 წელს საქართველოს მოკავშირე შარვანში შეიჭრა, შამახია აიღო, შარვანშაჰი შეიპყრო და დავით მეფეს მორჩილება მოსთხოვა.

1123 წლის გაზაფხულზე დავით მეფემ შარვანში გაი-ლაშქრა, თურქები დაამარცხა და განდევნა. ერთი თვის შემდეგ, ივნისში, დავით აღმაშენებელმა ხელახლა ილაშქრა შარვანში და ქვეყნის მთავარი ციხეები დაიკავა. ამრიგად, დავით აღმაშენებელმა შარვანიდან თურქები განდევნა. შარ-ვანის მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილი საქართველოს მეფეს უჭერდა მხარს, ხოლო მაჰმადიანური ნაწილი სულ-ტანს დახმარებას სთხოვდა. მეფემ წყალობით აავსო თავისი მომხრეები, განიმტკიცა პოზიციები და შემდეგ დარუბანდ-ში გაილაშქრა. 1124 წლის აპრილში ქართველთა ლაშქა-რი „დაუსხნეს შაბურანს, დარუბანდელსა და მოსწყვდნეს ქურდნი, ლექნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი“.

დავით აღმაშენებელმა დარუბანდის საამიროზეც გაა-ვრცელა გავლენა. იმავდროულად ის შარვანის შემომტკი-ცებისათვის ბრძოლას განაგრძობდა. 1124 წელს დავით IV-მ ხელახლა ილაშქრა შარვანში, დაიკავა ქვეყნის ციხეე-ბი, სადაც თავისი მეციხოვნები ჩააყენა, ეს ქვეყანა სა-ქართველოს შემოუერთა და უშუალოდ სამეფო კარს დაუ-მორჩილა. ამით დასრულდა შარვანისათვის ბრძოლა.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკამ, ქართველებისა და შარვანების ერთობლივმა ბრძოლამ, შარვანი იხსნა თურქ-სელჩუკთა ანექსიისაგან და საბოლოო გაქრობისა-გან. კავკასიის ძველი ეთნიკური ჯგუფების თუ პოლიტი-კური ერთეულების დაცვა-შენარჩუნება კავკასიის თვითმ-

ყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას ნიშნავდა.

შარვანისათვის ბრძოლის დროს, 1124 წლის მარტში დავით აღმაშენებელმა ქალაქი დმანისი აიღო. ტფილისისა და დმანისის შემოერთებით საქართველოს სამეფოს შემოემატა უკანასკნელი პუნქტები, რომლებიც კიდევ წარმოადგენდნენ თურქ-სელჩუკთა საყრდენს საქართველოში. ამით დავით აღმაშენებელმა ქართული მიწების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი დაასრულა.

საქართველოს მეფე თურქთა მოძალებას მთელ სამხრეთ კავკასიაში ებრძოდა. შარვანისთვის წარმოებული ბრძოლების პარალელურად მიმდინარეობდა ბრძოლა სომხეთისთვისაც.

1124 წლის მაისში დავით აღმაშენებელმა სომხეთში გაილაშქრა და თურქთაგან გაათავისუფლა „ციხენი სომხეთისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი“, რომლებიც ქვემო ქართლს აღმოსავლეთით უშუალოდ ემიჯნებოდნენ. ეს იყო მოძმე სომხეთის გათავისუფლებისათვის ძლევამოსილი ბრძოლის დასაწყისი. ივნისში დავით მეფე „წარემართა ლაშქარითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანი სპერამდის, და, რაცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო ... და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა“.

თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში ქართველთა წარმატებებმა სომხებს მუსლიმთა ბატონობისაგან გათავისუფლების იმედი აღუძრა. აგვისტოში ანისელმა სომხებმა დავით IV აღმაშენებელი ქალაქში მიიწვიეს და თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან გათავისუფლება სთხოვეს. საქართველოს მეფე 60 ათასი მხედრით ანისისაკენ გაემართა, „აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი უჭირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“.

ანისს აღმოსავლეთით მდ. ახურიანი (ამჟამად ართა-ჩაი) მიჯნავდა, დასავლეთით – მდ. ანისისწყლის (ალაჯი) ღრმა ხეობათა მიუვალი ფრიალოები, ჩრდილოეთით ციხის კედ-

ლებით იყო გამაგრებული. ანისის აღმოსავლეთით მოჩანს არაგანის მთა, კიდევ უფრო შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთით – არარატის მთა. ანისის კედლები ნაგებია მოყვითალო ქვით, აქა-იქ ჩართულია წითელი და შავი ქვები, კედლებზე მორთულობებია – ჯვრები, ბარელიეფები ცხოველთა გამოსახულებებით, გრეხილებით და სხვ.

ქართველთა ლაშქრის მიერ ანისის გათავისუფლების შესახებ XII საუკუნის სომეხი მემატიანე მათეოს ურპაეცი აღტაცებით წერდა: „ქართველთა მეფე დავითმა გაათავისულა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანისი, რომელიც სამოცი წელი იმყოფებოდა ტყვეობაში ... და იქმნა სიხარული ყოვლისა სახლსა სომეხთასა... და იყო დავით მეფე წმინდა და სათნო ყოვლად შემკული ღმრთის მოსავობითა და კეთილი სამართლიანობით. იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოყვარული სომეხთა ტომს, დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ეჭცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“. მათეოს ურპაეცის ცნობით, ბიზანტიელი დედოფლის კატრონიტეს მიერ აგებული ანისის მთავარი ტაძარი, რომელიც იმუამად მეჩეთად იყო გადაკეთებული, დავით მეფემ კვლავ ქრისტიანული წესით აკურთხებინა და იქვე დაკრძალული დედოფლის საფლავს სამჯერ ჩასძახა: „გიხაროდეს წმიდაო დედოფლალო, რამეთუ იხსნა ღმერთმა შენი საყდარი უსჯულოთა ხელთაგან“.

ანისის ანუ ყოფილი შირაკის სამეფოს შემდეგ საქართველოს მეფემ თურქთაგან ვანანდისა და აირარატის პროვინციები გაათავისუფლა და საქართველოს სამეფოს შემოუერთა. ამის შედეგად საქართველოს სამეფოს ფარგლებში მოექცა სომხური მიწების დიდი ნაწილი და მისმა საზღვარმა მდ. რახსს (არაქსი) მიაღწია.

სელჩუკებისაგან სომხეთის (ყოფილი ანისის შაჰან-შაჰების სამეფო) და შარვანის (შარვანშაჰების სამეფო) გათავისუფლებისა და საქართველოსათვის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებლის ტიტულატურას „შარვანშა და შაჰანშა“ დაემატა.

საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ სომხები და შარვანელები. თურქ-სელჩუკებისაგან გათავი-სუფლებული ქალაქების – ტფილისის, დმანისის, რუსთავის, ანისის, შამახისა და სხვათა მოსახლეობის ერთ ნაწილს მუს-ლიმები შეადგენდნენ, საქართველოს ქალაქებში მრავლად იყო სომხური მოსახლეობა. საქართველოს სამეფო კარი რეალურად ზრუნავდა არაქართველ და მუსლიმ ქვეშევრ-დომებზე. ამრიგად, საქართველოს მეფე რეალურად ახორ-ციელებდა იმას, რაც მის ტიტულატურაში იყო ასახული – „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და და-სავლეთისა ფლობით მპყრობელი“, ამით ის თავს აცხადებ-და თანაბრად მოწყალედ და სამართლიანად მის სამეფო-ში მცხოვრები ქართველების, სომხების, ებრაელებისა თუ მუსლიმების მიმართ. საქართველოს პოლიტიკური გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზეც ვრცელდებოდა.

დავით აღმაშენებლის ანდერძის მოწმობით, მისი მე-ფობის დასასრულს, საქართველოს სამეფო „ნიკოფსით-გან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგანადმდე“ (ერთ პირში: „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთითგან სოერად და არეგანადმდე“), მთელ სამხრეთ და ცენტრალურ კავკასიას აერთიანებდა.

დავით აღმაშენებლის ამ ანდერძის, ე. წ. მეორე ანდერძის, დედანი დაკარგულია. შემორჩენილია მხოლოდ XIX საუკუნის პირი და მათზე დამყარებული გამოცემები. მიჩნეულია, რომ „სოერად“ გადამწერის შეცდომაა და აქ მოხსენიებული უნდა ყოფილიყო საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი პროვინცია სპერი მდ. ჭოროხის ზემო წელში; „არეგანი“ (არა-განი) მთის მასივის სახელწოდებაა თანამედროვე სომხეთში, ერევნის ჩრდილოეთით. ჩრდილო-დასავლეთით საზღვარი მდ. ნიკოფსისზე (დღევანდელი მდ. ნეგოფსუხო) გადიოდა. მდ. ნიკოფსისის (ნიკოფსია) შესართავთან, მის მარცხენა ნა-პირზე, ზღვის ნაპირას ქ. ნიკოფსისი, იგივე ნიკოფსია მდე-

ბარეობდა. დღეს ამ ადგილს ნოვომიხაილოვსკი ეწოდება და ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით ზღვით დაახლ. 40 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ძველი ნაქალაქარიდან, ზღვისპირა კლდოვან კონცხზე, ციხე-სიმაგრის ნანგრევებია შემორჩენილი. ამ ნანგრევების კედლის ქვის წყობა ძალიან ჰგავს VIII-X სა. ქართული ციხე-სიმაგრეების კედლების წყობას. „დარუბანდის ზღვას“ ჩვენი წინაპრები კასპიის ზღვას ეძახდნენ.

ამრიგად, ფაქტობრივად, პირველად შეიქმნა რეალური პირობები საქართველოს მეფის მესვეურობით საერთო-კავკასიური, მრავალეროვანი სახელმწიფოს შესაქმნელად, მაგრამ საქართველოს იმაზე დიდი მისია დაეკისრა, ვიდრე ეს კავკასიის ხალხების ერთი დროშის ქვეშ გაერთიანება იყო. XI საუკუნის მიწურულს ბიზანტიის იმპერიამ, რომელიც მანამდე ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს მეთაურის როლში გამოდიოდა, ეს ფუნქცია დაკარგა. საქართველოს სამეფო ბიზანტიის თანასწორ სახელმწიფოდ გადაიქცა და სერიოზული პრეტენზია განაცხადა ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სამყაროში ბიზანტიის იმპერიის ადგილი დაეკავებინა. ამ პრეტენზიის გამოხატულება იყო დავით ალმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების მიერ თავიანთი თავის „მესიის მახვილად“ გამოცხადება.

დავით ალმაშენებლის სპილენძის მონეტაზე არაბულად ამოკვეთილია „მეფეთა მეფე დავით ძე გიორგისა, მესიის მახვილი“. ამით დავით მეფე აცხადებდა, რომ მისი მოქმედება ღვთის მიერ იყო ნაკურთხ-ნაკარნახევი; ამასთანავე, ის ქრისტიანთა დამცველად და ქომაგად აცხადებდა თავს.

დავით IV ალმაშენებელს არ დასცალდა თავისი გეგმების სრულად განხორციელება. 1125 წლის 24 იანვარს, 52 წლის ასაკში ის გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად დავით ალმაშენებელი გელათის ტაძრის კარიბჭეში დაკრძალეს.

იმის გამო, რომ ქართველ მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე იდგა „მეფე აფხაზთა“, უცხოურ წყაროებში „აფხაზმა“ ზოგადად ქართველისა და „აფხაზეთმა“ საქარ-

თველოს მნიშვნელობა მიიღო. „აფხაზი“ და „აფხაზეთიც“ პოლიტიკური ტერმინი იყო. ნიშანდობლივია, რომ ბაგრატ III-ის მიერ ქართული მიწების გაერთიანების შემდეგ ქვეყანას კარგა ხანს „აფხაზეთი“, „სამეფო აფხაზეთისა“ ეწოდებოდა. მას შემდეგ, რაც დავით ალმაშენებელმა ქუთათი-სიდან ტფილისში გადმოიტანა სატახტო ქალაქი, ტერმინს „სამეფო აფხაზეთისა“ ტერმინი „საქართველო“ ჩაენაცვლა.

## ლომა ბრძოლითის ხასიათი და თამარ საქმითის

დავით ალმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე მისი უფროსი ვაჟი დემეტრე I (1125-1156 წწ.) ავიდა. დემეტრეს სამეფო გვირგვინი დავით ალმაშენებელმა დაადგა, მიუხედავად ამისა, დიდებულებმა მამის გარდაცვალების შემდეგ ის მეფედ ხელმეორედ აკურთხეს. დემეტრე I-ის ხელმეორედ მეფედ კურთხევის სცენა სვანეთში, ლატალში, მაცხვარიშის (მაცხოვრის) ეკლესიის ფრესკაზეა გამოსახული.

დავით ალმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ თურქები სამხრეთ კავკასიაში თავიანთი პოზიციების აღდგენას შეეცადნენ. დემეტრე I იძულებული გახდა ანისი მაჰმადიან მფლობელთათვის დაეთმო საქართველოს ყმადნაფიცობის პირობით. საქართველოს სამეფო კარს უკანდახევა მოუხდა შარვანთან დაკავშირებითაც. 1129-1130 წწ. დემეტრე I-მა შარვანი ორად გაყო: მისი დასავლეთი, ქრისტიანული ნაწილი უშუალოდ საქართველოს ფარგლებში დატოვა, ხოლო შარვანის აღმოსავლეთ, მუსლიმურ ნაწილში შარვანშაპის ხელისუფლება აღდგა საქართველოს ყმადნაფიცობის პირობით. საქართველოს სამეფოს ყმადნაფიცებად რჩებოდნენ დარუბანდისა და განძის ამირები. ამავე ხანებში, ქართველთა ლაშეარმა დვინი და კარი დაიკავა, მაგრამ მათი საბოლოოდ შენარჩუნება ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამ დათმობებისა, დემეტრე მეფეს მნიშვნელოვანი წარმატე-

ბებიც ჰქონდა. 1128 წელს მან ქვემო ქართლში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თურქთა ხელში მყოფი ბოლო ქართული ციხე ხუნანი გაათავისუფლა. 1139 წლის სექტემბერში რანში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რამაც განდა მნიშვნელოვნად დაანგრია. ქართველთა ლაშქარმა დაუყოვნებლივ გაიღაშერა რანისკენ, განდა აიღო და სიმბოლურად მისი რეინის კარებიც წამოიღო, რომელიც მეფემ გელათის მონასტერს შესწირა. განძის კარებზე წარწერა გვაუწყებს: „მეფემან დო-მიტრი რანი დაარბია და ეს კარი იქიდან მოიტანა მისი მე-ფობის მეცამეტე წელს, დასაბამითგან 6743 (1139 წ.)“.



დარუბანდის ციხე

ერთხანს, დემეტრე მეფის კარზე არაბი მემატიანე ალ-ფარიკი იმყოფებოდა სტუმრად. „მე აქ ვნახე მუსლი-მების ისეთი პატივისცემა, რაც მათ ბალდადშიც არ ექნებათ“, – წერს არაბი ავტორი. იმავე ხანებში საქართველოს მეფე თავის ყმადნაფიცს და სიძეს, ქალიშვილის ქმარს, დარუბანდის ამირა მუზაფარს ეწვია. მეფის პატივისცემის ნიშნად ციხე-ქალაქ დარუბანდიდან გამოვიდა და მის ლაშქარს ქალაქის წინ მდებარე ველზე დიდი ნადიმი გაუმართა. ამის შესახებაც ალ-ფარიკი გვაუწყებს.

1156 წელს დემეტრე | ბელტის ციხეში (ბებრის ციხე) გარდაიცვალა. მისი ნეშტი საქართველოს მეფეთა ახალ საძვალეში გელათში დაკრძალეს.

დემეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი გიორგი III ავიდა.

გიორგი III-მ (1156-1184 წწ.) სახელოვანი პაპის დავით აღმაშენებლის აქტიური საგარეო-პოლიტიკური კურსი გააგრძელა. უპირველეს ამოცანად მან მუსლიმთა ბატონობისაგან სომხური მიწების გათავისუფლება დაისახა. გიორგი III-მ კიდევაც აიღო ანისი და დვინი, თუმცა მათი დიდხანს შენარჩუნება ვერ შეძლო. იმავდროულად საკუთრივ საქართველოს საზღვრები მტკიცედ იყო დაცული.

1184 წელს გიორგი III კახეთში, სტაგირს გარდაიცვალა. იგი გელათში დაკრძალეს. როგორც მემატიანე აღნიშნავს, „დაჯდა მეფედ ასული გიორგი მეფისა თამარ. ხოლო გარდახდა რა უამი გლოვისა, შემოკრიბნენ ნიკოფისით დარუბანდითურთ კათალიკოზნი, ეპისკოპოზნი, დიდებულნი და აკურთხეს თამარ მეფედ“.

საქართველოს სამეფომ ძლიერების მწვერვალს თამარ მეფის (1184-1210 წწ.) დროს მიაღწია. სამეფო კარმა გააგრძელა აქტიურობა სამხრეთის მიმართულებით, რაც ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას გულისხმობდა.

შევიწროებულმა თურქებმა საერთო ძალით გამოლაშექრება გადაწყვიტეს. სპარსელებმა (ე. ი. მაჰმადიანებმა) გლოვის ნიშნად სახე და სამოსელი შავად შეიღებეს და საქართველოს დასჯის თხოვნით ხალიფას ეახლნენ. ხალიფამ ლაშქრობის მოწყობა ბრძანა.

თურქთა კოალიციური ლაშქარი ადარბადაგანში შეიკრიბა და საქართველოს ყმადნაფიც შარვანში შეიჭრა. შარვანშაპმა დახმარებისათვის საქართველოს სამეფო კარს მიმართა. თამარ მეფემ სასწრაფოდ ლაშქრის წვევა ბრძანა. ათ დღეში შეიკრიბა ლაშქარი: „ვითარცა გროი შავარდენთა მოფრინდა ყოველი მხედარი, ყოვლით-კერძო“. 1195 წლის 2 ივნისს საქართველოს ლაშქარი დავით სოსლანის სარდლობით და თურქთა კოალიციური ლაშქარი ადარბადაგანის მბრძანებლის ათაბაგ აბუბექრის სარდლობით ციხე-ქალაქ

შამქორთან შეიძნენ. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. შალვა ახალციხელმა ხალიფას მიერ გამარჯვების საწინდრად კოალიციური ლაშქრისთვის ბოძებული დროშაც ხელში ჩაიგდო, რომელიც თამარ მეფემ ხახულის მონასტერს შესწირა. 3 ივნისს ქართველები შამქორში შევიდნენ. შამქორიდან ქართველთა ლაშქარი დავით სოსლანის სარდლობით განძისაკენ გაემართა. მას წინ მოეგებნენ დიდებულნი, დიდვაჭარნი და მუსლიმი სასულიერონი და ქალაქში შეუძლვნენ. ქართველებმა გამარჯვების აღსანიშნავად ამირას სასახლეში დიდი ნადიმი გადაიხადეს. ამიერი-დან განძის ამირა საქართველოს მოხარკე გახდა.

შამქორში გამარჯვებამ და განძის აღებამ საქართველოს დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა. ცხადი გახდა საქართველოს სამხედრო უპირატესობა მთელ ახლო აღმოსავლეთში.

საქართველომ კვლავ გააგრძელა შეტევა სამხრეთის მიმართულებით. ქართველთა ლაშქარმა 1199 წელს მუსლიმთაგან გაათავისუფლა ანისი და საქართველოს საბოლოოდ შემოუერთა, ხოლო 1202 წელს კარის ქვეყანასაც დაეუფლა. საქართველოს სამეფო კარი ცდილობდა კონტროლი დაემყარებინა სავაჭრო-საქარავნო გზაზე, რომელიც ადარბადაგანის ქალაქ თავრიზიდან ანისის, კარისა და კარნუ-ქალაქის გავლით ტრაპიზონისაკენ მიემართებოდა. ამ გზაზე გაბატონებას და კარნუ-ქალაქსა და კარზე კონტროლის დამყარებას მცირე აზის თურქული სახელმწიფო რუმის სასულტნოც ცდილობდა. ამდენად, საქართველოსა და რუმის სასულტნოს შორის შეტაკება გარდაუვალი იყო.

რუმის სულტანი რუქენ ად-დინი (1196-1204 წწ.) უზარ-მაზარი, 400 ათასიანი კოალიციური ლაშქრით საქართველოსაკენ გამოემართა და ბასიანში დაბანაკდა. ისტორიული ქართული ქვეყანა ბასიანი არაქსის ზემო წელში მდებარეობდა. ბასიანი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან შემოსაზღვრულია მთებით, რომლებიც ჭოროხის აუზს არაქსისაგან და არაქსის სათავეს ევფრატის სათავისაგან

გამოყოფენ. ის ზღვის დონიდან ძალიან მაღლა მდებარეობს, ამიტომ უტყეო და უვენახო მხარეა.

თამარ მეფის ბრძანებით ჯავახეთში „ნიკოფისით დარუბანდამდის“ საქართველოს მხედრობა შეიკრიბა: „მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფისით დარუბანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს“. მეფემ ქართველთა ლაშქარი ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა და გზა დაულოცა. ბრძოლა გაიმართა 1202 წლის 27 ივლისს ბასიანში და ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამ გამარჯვების შემდეგ საქართველოს მხედრობამ 1203 წელს ადარბადაგანის საამიროს წინააღმდეგ გაილაშქრა და ისტორიული სომხეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქი დვინი დაიკავა. ამის შემდეგ დღის წესრიგში ვანის ტბის გარშემო მდებარე ისტორიული სომხეთის მიწების გათავისუფლება დადგა.

ბასიანში გამარჯვების შემდეგ საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით და 1204 წელს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ლაშქარი გაგზავნა. ქართველთა ლაშქარმა მოკლე ხანში დაიკავა თითქმის მთელი სამხრეთ შავიზღვისპირეთი – ლაზეთი და ჭანეთი ქალაქებით: ტრაპეზუნტი, კერასუნტი, კოტიორა, სამისონი, სინოპი და სხვა, სადაც ბერძნულ მოსახლეობასთან ერთად ქართული მოსახლეობა ოდითგან ცხოვრობდა. დაპყრობილ ტერიტორიაზე საქართველოს სამეფო კარმა შექმნა მასზე დამოკიდებული (ვასალური) სახელმწიფო ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც სათავეში ბიზანტიაში დამხობილი კომნენოსთა დინასტიის კანონიერი მემკვიდრე, საქართველოს სამეფო კარზე გაზრდილი ალექსი კომნენოსი ჩაუყენა.

ნიშანდობლივია, რომ ალექსი კომნენოსისა და მისი ძმის დავითის დედაენა ქართული იყო. ისინი უფრო ქართველ დიდებულებს ჰგავდნენ, ვიდრე ბიზანტიელებს. ამასთანავე ტრაპიზონის იმპერიაში ძლიერი იყო ქართული ორიენტაცია, აქ ელინიზმის გავლენა ძალიან მცირე იყო და ადგილობრივი, ლაზური ტრადიციები ბატონობდა.

1207 წლის დასაწყისში ქართველთა ლაშქარმა ხანგრძლივი ალყის შემდეგ ციხე-ქალაქი კარი აიღო, რომელიც თამარ მეფე უშუალოდ სამეფო კარს დაუმორჩილა. ამით დასრულდა კარის საამიროს არსებობა. კარის ციხე-ქალაქი ანისი – კარნუქალაქის დიდ სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა და საქართველოსათვის მის შემოერთებას პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა დიდი ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.

საქართველოს სამეფო კარის საგარეო-პოლიტიკური კურსი მიუთითებდა, რომ ქეყანა პრეტენზიას აცხადებდა საერთაშორისო ასპარეზზე ბიზანტიის ადგილი დაეკავებინა.

თამარ მეფის დროს საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში კავკასიის დიდი ნაწილი გაერთიანდა. ეს რეალობა თამარ მეფის ისტორიკოსმა თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ხატოვნად ასე გადმოსცა: „იდყრნა ზღვით პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერიოგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკვითეთამდის“. ამ ამონარიდში „პონტოს ზღვა“ შავ ზღვას, „გურგანის ზღვა“ – კასპიის ზღვას, „იმერელნი“ – ჩრდილოეთ კავკასიის, ხოლო „ამერელნი“ – სამხრეთ კავკასიის მოსახლეს, „ხაზარეთი“ – ყივჩაყეთს, „სკვითეთი“ კი ზოგადად რუსეთს აღნიშნავს.

საქართველოს სამეფოს საზღვარი აღმოსავლეთით შამახიის მთის ძირას, მდ. თეთრ წყალზე (ამჟ. ჩალან-უსუნი) გადიოდა, რომლის აღმოსავლეთით საქართველოს ყმადნაფიცი შარვანი მდებარეობდა. სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ძირითადად მდ. რახსა (არაქსი) მიუყვებოდა, სამხრეთით – მდ. რახსა საკმაოდ სცილდებოდა და მის შემადგენლობაში შედიოდა სომხური პროვინციები ჰავნუნიები, კალზევანი და ბაგრევანდი რახსის ზემო წელში და მდ. აღმოსავლეთ ევფრატის ზემო წელი, აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთით – მთელი ჭოროხის აუზი. ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით ქართული პროვინციები ბასიანი, სპერი და ჭანეთი მდებარეობდა.

საქართველოს მეფის უზენაესობას სხვადასხვა ფორმით აღიარებდნენ და მას ექვემდებარებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხები: ჯიქები და ქაშაგები, ოვსები, დურძუკები, ლუნძები, ლეკები. საქართველოს მეფის უზენაესობას აღიარებდა თამარ მეფის უშუალო სამხედრო ჩარევის შედეგად შექმნილი ტრაპიზონის იმპერია, დარუბანდის საამირო, შარვანი და რანი; მოხარკე ქვეყნები იყო: ხლათისა და ერზინჯის სასულტნოები, კარნუ-ქალაქის (არზრუმის) და ნახჭევნის საამიროები. საქართველო და მისი ვასალური ქვეყნები ქმნიდნენ ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეს. საქართველომ იკისრა ამ ქვეყნების მფარველობის მისია. როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი წერდა: „ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ლუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, დურძუკთა, კარნუ ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელი თავისუფლებითსა ცხოვრებას ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.

საქართველოს მეფები ატარებდნენ ტიტულს – „ნებითა ღმრთისათა მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი“. ნიშანდობლოვია, რომ ქართველ მეფეთა ტიტულატურაში ასახულია ის პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა, ყმადნაფიცი ერთეულები ოფიციალურ ტიტულატურაში არ ასახულა.

ამრიგად, XII-XIII საუკუნეებში საქართველოს სამეფო თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიას მოიცავდა, ხოლო ვასალურ სამეფო-სამთავროთა მეშვეობით მისი პოლიტიკური და კულტურული გავლენა მთლიანად კავკასიას სწვდებოდა და მის ფარგლებს გარეთაც ვრცელდებოდა.

**ბეჟან ხორავა** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს. მისი ნაშრომები გამოცემულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, თურქულ ენებზე. 2011 წელს წიგნის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“ ქართულ (2007), რუსულ (2009), ინგლისურ (2011) ენებზე მომზადებისა და გამოცემისათვის, ავტორთა კოლექტივთან ერთად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. იმავე წელს, წიგნისათვის „აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე“, გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. დაჯილდობულია უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მადლობის სიგელით. 2015 წელს აირჩიეს წმინდა ამბროსი მარტინის (ისტორიის, ჰერალდიკის, გენეალოგიის, სამართლის) საერთაშორისო აკადემიის (იტალია) წევრად.



Bezhan khorava

FROM NIKOFSIA TO DARUBAND

Б. К. Хорава

ОТ НИКОПСИИ ДО ДАРУБАНДА